საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 15 მარტი. 2017 წ. №55 (8192), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ამ დღეების ნაციონალური გაფართოების გამო ②

– თუმცა, ცოტა არ იყოს, ამ ბოლო დროს გულში იმედი ჩამესახა, ჩვენმა ვიცეპრემიერებმა პრინციპულად ამოიღეს ხმა და სტრასბურგის „შეჩერებას“ ჩვენი, ქართული „შეჩერება“ დაუპირისპირეს – ვნახოთ, რომელი „შეჩერება“ რომელს აჯობებს.

პრეზიდენტის მორიგი ავანტიურა ②

ამირან კილურაძე:

„საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა“ ③

ნუგზარ ფოფხაძე:

ისტორია ასწავლის იმას, რომ... არაფერს ასწავლის!



③

მეცნიერება – სოფელს

გადავარჩინოთ თხილი განადგურებისგან! ④

გიორგი კვირიკაშვილი:

მადლობას ვუხდი პოლიციელებს ვაჟკაცობისთვის და ყველა სახელმწიფო მოხელეს, ვინც ჩართული იყო ბათუმის მოვლენებში

„მინდა, მადლობა გადავუხადო სამართალდამცავებს, რომელთა მოზომილი, გონივრული, შეწყობილი მოქმედებების შედეგადაც ჩვენ შევძელით ძალიან სერიოზული პროვოკაციის თავიდან აცილება და, მართლაც, ბეწვის ხიდზე გავიარეთ“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე, სადაც კიდევ ერთხელ შეეხო ბათუმში განვითარებულ მოვლენებს და იგი სახელმწიფოს სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციად შეაფასა.

„მინდა, მადლობა ვუთხრა პოლიციელებს ვაჟკაცობისთვის, მოთმინებისთვის. მადლობას ვუხდი სახელმწიფო მოხელეებს – აჭარის მთავრობას, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, ყველას, ვინც ჩართული იყო პროცესებში. გამოძიება მიმდინარეობს, არავის არ უნდა შერჩეს ეს ძალიან მძიმე პროვოკაცია, რომელიც აშკარად დაგეგმილის ელფერს ატარებდა. გამოძიება აუცილებლად გაგრძელდება, მივა დასასრულამდე და აუცილებლად დაისჯება ყველა, ვინც სახელმწიფოს წინააღმდეგ ნაბიჯი გადადგა,“ – აღნიშნა პრემიერმა.

პრემიერი გუდაურში 360-გრადუსიანი ხედის საკონფერენციო ცენტრის აშენებს ინიციატივით გამოდის

გუდაურში, საბაგიროს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ წერტილზე 360-გრადუსიანი ხედის საკონფერენციო ცენტრი აშენდება, – აღნიშნული ინიციატივით საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გამოვიდა.

პრემიერის ინიციატივით, საკონფერენციო ცენტრი უნდა აშენდეს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ წერტილზე, სადამდეც გუდაურის საბაგირო მივა. მშენებლობისთვის შესაბამისი ადგილის შერჩევა პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს დაავალა.

საკონფერენციო ცენტრის პროექტი ევროპული ანალოგების მაგალითზე განხორციელდება, რომლებიც წარმატებით, მთელი წლის განმავლობაში, თითქმის 365-დღიანი დატვირთვით იმუშავებს.

პრემიერის შეფასებით, გუდაურში მსგავსი სივრცის არსებობა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას.

მწერლის ხელხვავი

⑦ ცხრაწიგნიანი წელიწადი

საუბრობენ როსტომ ჩხეიძე და თამარ ღონღაძე

ვაი ჩვენს ამჩემფვეხება საზოგადოებას!

ამ დღეების ნაციონალური გაფართოებლების გამო

დიალოგი პირველი

თბილისი, 11 მარტი

— რაღაც მაინცდამაინც ბლომად არ ჩანდა ხალხი უზენაესი სასამართლოს შენობასთან „რუსთავი-2“-ს ამოფარებული შუმი ნაციონალის გვარამიას დასაცავად.

— ჰო, დაახლოებით იმდენი ხალხი იყო მეზობლები რომ მარხავენ უპატრონო ბერბიჭა ბერიკაცს.

— უკვე ბევრი მიხვდა, გენაცვალე, რომ კანონიერი მფლობელისთვის წართმეული არხის დაბრუნებას არცრა საერთო არა აქვს რა სიტყვის თავისუფლებასთან.

— შე დალოცვილო, ბევრი კი მიხვდა, მაგრამ სტრასბურგის მორიგე მოსამართლე რომ ვერ მიხვდა თუ არ მიხვდა?! რა იყო, ასე სულუქცევრად რატომ შეაჩერა სუვერენული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სრულიად კანონიერი გადაწყვეტილება, რომელიც წინა ორი ინსტანციის ასევე სრულიად სამართლიან განჩინებას რომ ეყრდნობა.

— ერთმა, თანაც მორიგემ, თუ სულ ოთხი დღით შეაჩერა აღსრულება, ამ ერთს უმალ ოთხი მოსამართლეც მიემატა და უკვე ახალ შეტყობინებამდე შეაჩერეს ქართული მართლმსაჯულების სავსებით კანონიერი აღსრულება. მიდი და გაიგე ახლა, როდემდე გაგრძელდება ეს ახალი შეტყობინება, რაც შეგულიანებულმა ნაციონალებმა უვადო შეჩერებად მონათლეს.

— არა, პირდაპირ საკვირველია, რა გულთმისნები ეგენი მყვანან, რა იციან, იქნება ქონებადაბრუნებული კანონიერი მფლობელი უფრო მიუკერძოებელსა და კრიტიკულს ხდის ამ ერთპარტიულ ყბადაღებულ „ცრუსთავი-2“-ს. ბოლოს და ბოლოს სამართალი ხომ უნდა აღდგეს!

— არა, როგორც ჩანს, მაგათ გვარამიას ბედი უფრო ადარდებთ, რომლის ხელშიც „ცრუსთავი-2“ სტრასბურგის სამართლისთვის მისაღებად იტყუება და იგესლება, რასაც ნაციონალთაგან გულმოგებული სტრასბურგელი „ძმაკაცები თუ დაქალები“ აშკარა უსამართლობას სამართლად ასაღებენ.

— ჯერ სადა ხარ, ძმაო, ხელისუფლების დოყლაპიობის მიზეზით თავაწყვეტილი სააკაშვილის უკვე ხრწნაშეპარული ხროვისგან კიდევ ბევრ ნაირ-ნაირ შოუს უნდა ველოდოთ...

— ვაი, ვაი ჩვენს გულგრილ, ცივსისხლიან საზოგადოებას, ასე რომ აჯეჯილებს ამ დამნაშავე და მავნებელ ნაციონალებს, რომელთაც ნამდვილად ნერვები დაგვაწყვიტეს თავიანთი ანტისახელმწიფოებრივი ქვეუდანობით.

— ეჰ, ჩემო ძმაო, ქვეშაფსიები ვართ, ქვეშაფსიები, თორემ ვერც ეგენი, ეგ ბედოვლათი ნაციონალები გაბედავდნენ ამდენს და ვერც ეს ხელისუფლება მოიქცეოდა ასე დედლურად.

— თუმცა, ცოტა არ იყოს, ამ ბოლო დროს გულში იმედი ჩამესახა, ჩვენმა ვიცეპრემიერებმა პრინციპულად ამოიღეს ხმა და სტრასბურგის „შეჩერებას“ ჩვენი, ქართული „შეჩერება“ დაუპირისპირეს — ვნახოთ, რომელი „შეჩერება“ რომელს აჯობებს.

— ისე, ჩვენში დარჩეს, სტრასბურგს რა ხელი აქვს ჩვენს უზენაეს მართლმსაჯულებასთან.

— ღმერთმანი, აქ რაღაც კარგი სუნი არ ტრიალებს!..

დიალოგი მეორე

ბათუმი, 11-12 მარტი

— ამ კუდამოძუებულ ნაციონალებს ეკონომიკა არ უყვართ გეგმიანი, თორემ პოლიტიკას, იცოცხლე, გეგმიანად წარმართავენ...

— ხო ნახე, სამად თუ ოთხად გაიყვანენ. ზოგმა „ევროპული საქართველო“ დაარქვა, ზოგმა „ახალი საქართველო“, ზოგიც გირჩად ჩამოეკიდა პოლიტიკურ ნაძვისხეს... ჰიტლერის ნაბიჭვარი სააკაშვილი ისევ ძირძველ ნაციონალებთან დარჩა, თუმცა რა დასამალია, ოთხსავე ფრონტს ისევ თვითონ ფიურერობს და სამოქმედო გეგმებსაც უკრაინიდან გადმოსცემს.

— ხელისუფლებაში ისევ მოსვლის მთავარ იარაღად კვლავ „რუსთავი-2“-ს იტოვებს, ამიტომ არის, რომ ვერა და ვერ ელევა.

— თითქმის მოუხერხებელსაც კი ახერხებს. ხო უყურებ, ახლა სტრასბურგიც კი ჩართო თავის ბინძურ საქმეში.

— თბილისში გამართული შოუს პარალელურად ბათუმიც აადუღა. პატარა ნაპერწკლიდან თავისი პროვოკატორი ემისრების უშუალო ძალისხმევით ლამის გადაწვა და გადაბუგა ეს ულამაზესი ზღვისპირა ქართული ქალაქი. და ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ თუ ხელისუფლების სათავეში ისევ ნაციონალები არ იქნებიან, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა ამ „ტურფა საქართველოში“.

— ეგ თუნდაც იქიდან ჩანს, რომ იქ მაშინ მარტო ბათუმელი ნაციონალები არ არბევდნენ ქალაქს. საქართველოს ბევრი სხვა ქალაქიდან ჩამოსული ნაციონალი მარბეველნი აღვივებდნენ ანტისახელისუფლებო ხანძარს.

— ბათუმი ნამდვილ ბართლომეს ღამეს შეესწრო. თუ არა პოლიციელთა ვაჟკაცობა, გამორიცხული არ არის, რომ გაგულისებული ნაციონალები მოწინააღმდეგეთა ხოცვა-ჟლეტაზეც გადასულიყვნენ...

— ამის პატიება და შენდობა უკვე აღარ შეიძლება. თითოეულმა დამნაშავემ კანონის მთელი სისასტიკით უნდა აგოს პასუხი.

— ეს, გენაცვალე, აშკარა სიგნალიც იყო, რომ თუ ხელისუფლება დემოკრატიის მშენებლობის საბაბით, კვლავაც ასე ლოიალურად მოექცევა ეგრეთ წოდებულ ანტისახელმწიფოებრივ ოპოზიციას, რომელიც ამ ბოლო დროს ცხადად დაუკრეფავში გადადის, ადვილი შესაძლებელია, რომ ერთ არამშვენიერ დღეს ნაციონალთა სამსჯავროზე ვიხილოთ, რომელი სამსჯავროც ჯოჯოხეთს გაუტოლდება, როგორც თვითონ „ქართული ოცნებისთვის“, ისე ქართველი ხალხისთვის.

— აბა თავების ცვენა მაშინ ნახე. ტყუილისა და მართლის გამრჩევი აღარავინ იქნება.

— აკი უკვე იმუქრებიან კიდეც! ნახეთ, ეს ერთ დროს თითქმის მუნჯი ვარშალომიძე როგორ ტრიბუნად იქცა ცეცხლმოკიდებულ ბათუმში და რა ნაირ-ნაირად ამკობდა ბედნიერ საქართველოზე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამაოდ მეოცნებე ხელისუფლებას.

— შემკობა კი არა, მთელი ის გაუგონარი შანტაჟი, რაც ბათუმში მოხდა, ნაციონალებმა თვითონ ხელისუფლებას დააბრალეს, ეს პროვოკაცია ინაშვილის ხელისუფლებამ მოაწყოო.

— ყოველივე ამის შემდეგ ნუთუ „რუსთავი-2“-ისა და ბათუმის დაუფარავად ანტისახელმწიფოებრივმა ამბებმა საბოლოოდ არ უნდა გამოაფხიზლოს „ოცნების“ ხელისუფლება, რომელსაც ამერიკის და ევროპის შიშითა თუ მორჩილი ანგარიშის გაწევით ქვეყანას ნაციონალების მოლიპული გზით მიაქანებს.

— ნუთუ მართლა აგრერიგად ძნელია მტერ-მოყვრის გარჩევა?!

— ერთი ძველი ინდური სიბრძნისა არ იყოს, ზოგი ხელისუფლება, თავისდა საუბედუროდ, იმ კოვზს ემსგავსება, რომელიც თვითონ ვერ გრძნობს, იმის საშუალებით რის ჭამას სთავაზობს ბოროტი მასპინძელი გულუბრყვილო სტუმარს.

— მართლა ბრძენი ხალხია ეს ინდოელები. ჭეშმარიტი ხელისუფლება უგრძნობელ კოვზს ნამდვილად არ უნდა ჰგავდეს.

დიალოგი ჩაიწერა
გურამ წიკლაურმა

◎ პოლიტიკა სამართალს აბინძურებს

პრეზიდენტის მორიგი ავანტიურა

საქართველოს მოსახლეობის აზრის გათვალისწინება კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა სრულიად მიუღებელია შემდეგ გარემოებათა გამო.

1. საქართველოს მოსახლეობის აზრის გათვალისწინება კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების თაობაზე იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მოსახლეობისათვის არა თუ კონსტიტუციის მუხლები, არამედ ძირითადი პრინციპებიც კი უცნობია, არის ავანტიურა.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად გადაუდებლად საჭიროა საზოგადოებრივი ტელეარხის მეშვეობით საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების შესახებ სამართლის კომპეტეტური სპეციალისტების მიერ მოსახლეობის სისტემატური იმფორმირებულობა. ამ მიზნით, გადაუდებლად საჭიროა ადგილებზე ასევე კომპეტეტურ პროფესორ-მასწავლებელთა გასვლა და მოსახლეობასთან შეხვედრების სათანადო ორგანიზაცია.

ეს ყველაფერი ნოყიერ ნიდაგს შეუქმნის საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ კონსტიტუციის პროექტის სახალხო რეფერენდუმის შედეგების პარლამენტის მიერ სავალდებულო გათვალისწინებას, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5-ის ძალით:

ა. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

ბ. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

გ. არავის არა აქვს უფლება, მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

დ. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.“

2. საქართველოს მოსახლეობის აზრის გათვალისწინება კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების თაობაზე იმ პირობებში, როდესაც თავად საქართველოს პრეზიდენტი არათუ საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებში არ არის გარკვეული, არამედ თავად არ იცის, რა არის კონსტიტუცია, არის ავანტიურა. თავის სატელევიზიო გამოსვლაში მან გვამცნო, რომ კონსტიტუცია არის კონსტიტუციასთან კანონმდებლობის შესაბამისობა. აშკარაა, რომ საქართველოს პრეზიდენტისათვის სრულიად უცნობია კონსტიტუციის საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება. ამაში ის ადვილად დარწმუნდებოდა თუ სტუდენტთათვის გათვალისწინებულ ოქსფორდის უნივერსიტეტის ლექსიკონში მაინც ჩაიხედავდა, რომლის თანახმად: „კონსტიტუცია არის იმ პრინციპების და ნორმების სისტემა, რომლის შესაბამისად საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებანი იმართება“.

არადა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რამდენიმე მაღაკვალიფიციური იურისტი მოღვაწეობს. ჩემი დაკვირვებით, ამ და სხვა გადაწყვეტილებათა მიღების დროს ხშირად ის არა კონსტიტუციით, არამედ პოლიტიკური მიზნებით ხელმძღვანელობს. ეს კი ქვეყანას საშიშროებას უქმნის, რადგან, როგორც სამართლის მეცნიერების გიგანტად აღიარებული ჰანს კელზენი კაცობრიობას მოძღვრავდა: „პოლიტიკა სამართალს აბინძურებს“.

3. უფრო მეტი. არა თუ საერთოდ კონსტიტუციონალიზმის, არამედ საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები და ნორმები თავად საკონსტიტუციო კომისიის არცთუ ცოტა წევრისთვისაც კი უცნობია, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს პარლამენტის დიდ უმრავლესობაზე.

ამ მიზნით, გადაუდებლად საჭიროა კონსტიტუციის პროექტის სახალხო რეფერენდუმის შედეგების პარლამენტის მიერ განხილვამდე სამართლის კომპეტეტური სპეციალისტების მიერ დეპუტატების განათლება.

ბიძინა სავანელი,
სამართლის დოქტორი,

მორიგე რედაქტორის P. S.

„ცუდი დროება დაგვიდგა,
ძალიან ცუდი დარია,
თაგვები კატებს ახრჩობენ,
ტურამ ლომს ხელი დარია.
ქორი დაქოჩრა ქათამმა,
ომი შეექმნათ ცხარია,
„საგმირო“ საქმეებს სჩადის
ინდაურების გვარია.“

ვაჟა. (1906)

ბათუმური გაზაფხული,

ანუ ისტორია ასწავლის იმას, რომ... არაფერს ასწავლის!

ციკლიდან „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“!

წუხელ, ფეისბუქში, ჩემი უძველესი მეგობრის ჩანაწერს წავაწყდი:

„Ilia Kevlishvili
Вчера в 12:35.

გაფრთხილება, შენიშვნა, ამოღებულია პოლიციელების მეტყველებიდან? პრევენცია, ასეთ ქმედებას პოლიცია არ ცნობს? რატომ პირდაპირ ჯარიმა? ვიდრე თვითმიზანი იქნება ბიუჯეტის შევსება ჯარიმებით, მავანი და მავანი ეცდება ცეცხლზე ნავთი ასხას, ხალხს უჭირს და ეს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, განა პოლიცია ხალხის ფულით არ ფინანსდება? ქვეყნის მტრები ყოველთვის ეცდებიან პოლიციისა და ხალხის დაპირისპირებას, რომ შემდეგ ყველაფერი უმართავ პროცესებში გადაიზარდოს, ჩვენ პოლიციურ რეჟიმში 9 წელი ვიცხოვრეთ და ასეთ ქმედებებს ხალხი აღარ აიტანს, მეტი პრევენცია, მეტი სითბო საკუთარი მოქალაქეების მიმართ, არ შეიძლება პოლიციელი ყველა მოქალაქეში კრიმინალს ხედავდეს...“

ვეტერანი ჟურნალისტი, წარსულში საქართველოს რადიოს პოპულარული წამყვანი მოუწოდებს სამართალდამცავებს:

მეტი სითბო საკუთარი მოქალაქეების მიმართ!

და იქვე დასძენს:

არ შეიძლება პოლიციელი ყველა მოქალაქეში კრიმინალს ხედავდეს...“

აბსოლუტურად სწორი მოწოდებაა და მეტისმეტად ყურადსაღები, ანგარიშგასაწევი შენიშვნაა ბრძენი კაცის მხრიდან! მან კარგად იცის ეს თემა! ისიც, თუ რა მოსდევს მის უგულებელყოფას.

და ეს შენიშვნა მარტო რიგითი პოლიციელების გასაგონად არ არის ნათქვამი!

უფრო პოლიციის (არა მარტო) ჩინოსანთა საყურადღებოდ!

ასევე, მთელ ჩინოვნიკურ აპარატს ეხება — პირველ რიგში!

მინისტრებს, ვიცე-პრემიერებს, პრემიერს — უწინარესად!

პირადი მაგალითი, ბატონებო, პირადი!!!

პატარა ბავშვის მოფერება, მიწისქვეშა გადასასვლელში დაცვის გარეშე „გასეირნება“ და სხვა მსგავსი „ფაქტების“ PR-გაშუქება, კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა, მომგებიანი იყოს, მაგრამ საერთო ფონი იმდენად მძიმეა, რომ... თავად ასეთ „მოვლენებს“ მოსახლეობის ერთი ნაწილი ცინიზმისა და პრიმიტივიზმის გამოვლინებად თვლის! სამწუხაროდ, ეს ჩანს „ყველა ფეხის ნაბიჯზე“.

ის, რაც მოხდა და ხდება ამ დღეებში, არა მარტო სამარცხვინოა, არა მარტო გულსატკენი და აღმაშფოთებელი, არამედ მეტისმეტად დამაფიქრებელი!

ბათუმი ამ მხრივ გამონაკლისი არ გახლავთ. ამაზე წერს პრესა, ამის შესახებ მიდის საუბარი ტელევიზიით, რადიოთი.

სულ ცოტა ხნის წინათ „რეპორტიორი“, „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდნენ ამის შესახებ. წერდნენ კონკრეტულად ბათუმზე, კონკრეტული ფაქტებით, კონკრეტულ პიროვნებებზე. ეწყინათ! ცხვირი ჩამოუშვეს! გაიბუტნენ! და არავითარი რეაგირება! „შეაყარე კედელს ცერცვი!“.

შეაყარე და მოიმკი კიდეც შედეგს: პოლიტიკური თუ ზნეობრივი აღშფოთების, მომავალ არჩევნებში გარკვეული ხმების დაკარგვის გარდა, „ტურისტული სეზონის წინ მსგავსი „ნაღმის აფეთქება“ ბათუმს, აჭარას, ანუ მთელ საქართველოს უცილობლივ მოუტანს კონკრეტულ და რეალურ ეკონომიკურ დანაკარგს. მას შემდეგ, რაც საზღვარგარეთულმა მედიამ გამოაქვეყნა ვანდალიზმისა და პოლიციაზე თავდასხმის კადრები, შესაძლოა, დაფრთხეს პოტენციური ტურისტი და დამსვენებელი. ეს კი გამოიწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას, ბიუჯეტსა და ბიზნესში შემოსავლების დაკარგვას. სწორედ ამას ჰქვია უჭკუობა, საკუთარი ოჯახების, კუთხისა და ქვეყნის ინტერესების ფეხებზე დაკიდება.

ვის მოვკითხოთ? ნიღბიან ბიჭბუჭებს თუ ულტიმატუმების ენაზე ყბედ, გატუტუცებულ ხაბაზისტებს? ეგებ, იმ პოლიციელებს, ვისაც ხალხთან საუბარი მხოლოდ ჯარიმის გამოწერის ენაზე ხელეწიფება? თუ ხელისუფლებას, ამ შემთხვევაში, ადგილობრივს?

ერმაკოვებისა და მისი გუნდელების იმედი ნუ გაქვთ. ჭკუას მაინც ვერ ისწავლიან. არ ეშინიათ! არ ერიდებათ! იციან, რომ მათი ბედ-იღბალი არ ეკითხება იმ ხალხს, ვინც თავადვე „ფეხებზე ჰკიდიათ“.

იხ. 4 გვ.

„საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალ“

აჭარლები აგრესიულები არ არიან

ამ წერილის სათაური დიდებულ პოეტს, ნეტარხსენებულ ზურაბ გორგილაძეს დავესესხე. ზურაბი ახლა, ბათუმის ამბების მერე კი არ გამხსენებია, იგი ჩემი მეგობარი იყო და მუდამ მახსოვს, მაგრამ 11 მარტს ბათუმში განვითარებულმა მოვლენებმა მასთან დაკავშირებული ერთი ამბავი მომაგონა. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი იყო, იმერეთის მწერალთა კავშირმა ქუთაისში ბათუმელი მწერლები და პოეტები მიიწვია. 15-კაციან დელეგაციაში მეც ვიყავი. მაშინ საქართველოს რადიოს კორესპონდენტი გახლდით აჭარაში და გადაცემის მომზადება მქონდა დავალებული. იმერული პეწიანი დახვედრის შემდეგ, ლექსების კითხვა და მწერალთა გამოსვლები დაიწყო. საღამოს წამყვანი გამომსვლელთა ვინაობას აცხადებდა: ქართველი პოეტი ესა და ესო. ქართველი მწერალი ესა და ესო. რა გვარები არ იყო, ძირძველი ქართული და ეგრეთ წოდებული, წარმომავლობის, საქმიანობის თუ სხვა (როგორც ამას გვარ-სახელების მკვლევარები უწოდებენ). მოვიდა ზურაბ გორგილაძის გამოსვლის რიგი და დარბაზში გაისმა „აჭარელი პოეტი ზურაბ გორგილაძე“. მივიდა ზურაბი ტრიბუნასთან, წინა რიგში მჯდომ ოტია იოსელიანს თვალი ჩაუკრა და დაიწყო:

სომხიშვილი ქართველი,
ქურთიშვილი ქართველი,
ლეკიშვილი ქართველი,
გორგილაძე, აჭარელი პოეტი.
ღმერთო სამართალი სად არის?

დარბაზში ტაშმა იქუხა. მასპინძლები უხერხული მდგომარეობიდან ისევ ბათუმელმა პოეტმა გამოიყვანა. მისმა იუმორმა უხერხულობა გაფანტა. რაღა თქმა უნდა, კაგებეს ეს არ გამოჰპარვია, მაგრამ „ოჰოი ნანას“ ავტორს მაშინ არაფერი უთხრეს, თუმც დაუმახსოვრეს. მე სხვაც მახსოვს, დაგეგმილი თუ უგუნურთა მიერ აჭარის მიმართ საჯაროდ გამოთქმული როყიო სიტყვები.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, მოსკოვში ბათუმელი პოეტის ჯემალ ჯაყელის რუსულად თარგმნილი ლექსების წიგნი გამოვიდა, რომელსაც ეწერა „პერევოდ ს ადჟარსკოგო“ (ნათარგმნია აჭარულიდანო). ვერავინ დამაჯერებს, მოსკოვის გამომცემლობაში, სადაც მამალი ცენზორები ისხდნენ, არ სცოდნოდათ აჭარული ენა რომ არ არსებობდა. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირში 21 ავტონომიურ რესპუბლიკასა და ავტონომიურ ოლქს შორის, ერთადერთი აჭარა იყო, რომლის ენა ქართულის გარდა, სხვა არც არასდროს ყოფილა და არც არავის მოსვლია თავში სხვა რამ. ერთი ასეთი პროვოკაციაც მახსოვს, 1991 წელი იდგა. საქართველო დუღდა და გადმოდუღდა. ვინ რას შვრებოდა და ვინ ვისი იყო, ძნელი გასარჩევი გახდა. ერთ დილით, თბილისი-ბათუმის სამგზავრო მატარებელზე, რომელიც ბათუმში შემოვიდა, ცარცით წაეწერა ვიღაცას „თბილისი-თურქეთი“. რაღა თქმა უნდა, ამან აღაშფოთა აჭარა. მაგრამ ამ პროვოკაციის ვნებათაღელვა მალევე ჩაცხრა. ვილას ახსოვდა ეს წარწერა, როცა საქართველო სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვია და აჭარიდან ბიჭები აფხაზეთის დასაცავად მიემგზავრებოდნენ, არა მარტო ბიჭები, არამედ გოგონებიც. აჭარის ტელევიზიის კორესპონდენტი მარინე კუპრეიშვილი ორჯერ გამეპარა აფხაზეთის ომში რეპორტაჟის მოსამზადებლად. მაშინ აჭარის ტელევიზიის დირექტორი ცნობილი პოეტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი შოთა ზოიძე იყო, მე მოადგილე გახლდით. მარინეს თხოვნაზე, აფხაზეთში წავალ გადაღებებზეო, უარი ვუთხარით. ქალი როგორ გაგვეშვა იმ ტყვიის წვიმაში. წავიდა, უფრო სწორად გაგვეპარა. მეორე წასვლაზე ლოთი ქობალიას ბიჭებს გადაჰყროდა, დააკავეს და სადღაც წაიყვანეს. ქობალიამ „პატიმრობა შეუფარდა.“ რამდენიმე დღის შემდგომ გავიგეთ ეს ამბავი. ფეხზე დავაყენეთ ყველა, ვისაც რაღაც გავლენა ჰქონდა ქობალიაზე. ჩვენი ჟურნალისტიც გამოვიხსენით და კამერაც. თუმცა უნიკალური ჩანაწერებით სავსე ვიდეოკასეტები აღარ დაგვიბრუნეს.

ამ ამბებს იმიტომ ვიხსენებ, რომ აჭარა გარეშე თუ შიდა მტრებისთვის მუდამ იყო პროვოკაციის ობიექტი. არადა აჭარელზე ნაღდი ქართველი მე არ მინახავს. ქრისტიანი ან მუსულმანური აღმსარებლობის აჭარელი თუ გინდა გადარიო, მას ქართველობა უნდა დაუწუნო. თათარს და თურქს თუ ეტყვი, ეს ნიშნავს, რომ თავი გადადებული გაქვს. აჭარლები არა მარტო საუკეთესო მეგობრები და მეზობლები არიან, არამედ საუკეთესო მოყვრებიც. მე ორი ქალიშვილი მყავს და, შესაბამისად, ორი აჭარელი სიძე. ბედნიერი ოჯახი მაქვს, ოღონდ ესაა, გული მწყდება, სამი შვილიშვილის მეტი არ მაჩუქეს. არადა, რა კარგი იქნებოდა, მეტი მყოლოდა.

...ახლა როცა ამ წერილს ვწერ, „იმედზე“ ერთი „გენიოსი“ პოლიტიკოსი გამოდის, რომელიც ბათუმის 11 მარტის მოვლენებს აფასებს. ალბათ, „ოცნების“ წარმომადგენელია. ტყავში ძვრება საწყალი, ხელისუფლება რომ გაამართლოს ყველაფერში და აქციის მონაწილე ბათუმელები და ვიღაც სხვა ძალები დაადანაშაულოს. ეს კაცი ერთში მართალია, იმ ღამეს ბათუმში ვანდალიზმს ჰქონდა ადგილი და ამას არაფერი გამართლება არ შეიძლება მოუძებნო კაცმა. მაგრამ იმხელა აქცია, იმდენი ადამიანის ასე მოკლე დროში შეკრება ხომ შემთხვევით არ მომხდარა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავინ არ ლაპარაკობს ამ მოვლენის მიზეზ-შედეგობრიობაზე. მიამიტობაა იმაზე ლაპარაკი, რომ ერთი მძღოლის პატრულის მიერ დაჯარიმებას მოჰყვა ბათუმის უბნის გადაწვა. რატომ არავინ არ ლაპარაკობს ხელისუფლებიდან იმ მიზეზებზე, რამაც საზოგადოების ნაწილის, თუნდაც მცირე ნაწილის მსგავსი და საშიში აგრესია გამოიწვია. დავიჯერო, ეს აგრესია სპონტანურად წარმოიშვა მომიტინგეებში? რა წინა პირობა იყო საამისოდ აჭარაში? მოდით, ამაზე ჩვენს მომდევნო წერილში ვისაუბროთ.

ამირან კილურაძე,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი.
(ბაბრაძელება იქნება)

გადავარჩინოთ თხილი განადგურებისგან!

საქართველოში ბოლო ათწლეულში თხილის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს საკონდიტრო, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, ტექნიკურ და პარფიუმერულ წარმოებაში. თხილის გულში არსებული ვიტამინები ადვილი ასათვისებელია ორგანიზმისთვის და არ შეიცავს ქოლესტერინს.

საქართველოში ყოველწლიურად მატულობს მოთხოვნა თხილის წარმოებაზე. დასავლეთ საქართველოში ჩაის ძველი, ამორტიზებული პლანტაციების ადგილზე მოსახლეობამ მასობრივად დაიწყო თხილის გაშენება. ფერმერები ამ სფეროში თანხის დაბანდებას ესწრაფვიან, რადგან თხილის ფასი, როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო იზრდება.

მოყვანილი თხილის პროდუქციის მხოლოდ ნაწილი რეალიზდება ადგილობრივ ბაზარზე. თითქმის 90 % კი გადამუშავდება თხილის ქარხნებში და გააქვთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში.

საქართველოში თხილის გავრცელების ძირითადი ზონებია: იმერეთი, სამეგრელო, გურია, კახეთი, აფხაზეთი და აჭარა, სადაც გაშენებულია ქართული ჯიშები: გულშიშველა, ხაჭაურა, შველისყურა, ანაკლიური, ნემსა, დედოფლის თითი, ცხენისკბილა და სხვ. საუკეთესოდ ითვლება ანაკლიური და დედოფლის თითი. ინტროდუცირებული და გავრცელებული ჯიშებია: ბარსელონა, ენისი, კლარკი, ლუისი, სანტიამი, იამპილი, ჯეფერსონი, კასინი, ნეგრეტი, მორტატელა, სან ჯიოვანი, ათა ბაბა და სხვ.

ჩვენს ქვეყანაში თხილის გავრცელების თითქმის შეუზღუდავი არეალია, თუმცა ნიადაგურ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, გეოგრაფიული ზონები და მიკროზონების გავლენა, ტენიანი სუბტროპიკული ზონის ჰიდროთერმული პირობები ქმნის სხვადასხვა მავნებლებისა და დაავადებების განვითარების ხელშემწყობ პირობებს, რაც აისახება თხილის ბაღების დღეს არსებულ მდგომარეობაზე.

მცენარეთა დაცვა ერთ-ერთი ძირითადი რგოლია, რომლის გარეშეც შეუძლებელია უხვი, ხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მათ შორის, თხილის ნაყოფის მიღება, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ მავნე ორგანიზმებისაგან (მავნებლები, დაავადებები, სარეველები) მიყენებული ზიანის შედეგად დანაკარგები სტაბილურად 30-60 %-ს შეადგენს. ეს განსაკუთრებით აღინიშნა გასულ წელს, როდესაც თხილის დანაკარგმა უკლებლივ ყველა რეგიონში 80%-ს მიაღწია. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელ წლებში, თხილის ინტენსიური ბაღების გაშენების პირობებში თავი იჩინა მრავალმა ისეთმა მავნებელმა დაავადებებმა, რომლებიც მანამდე არ აღინიშნებოდა, შესაბამისად ისინი საჭიროებენ დაუყოვნებლივ შესწავლას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დამუშავებას.

თხილის მავნებლები

<u>კუსებურა ბაღლინჯოები.</u> მათ შორის **<u>მწვანე ფაროსანა.</u>** გარდა თხილისა, აზიანებს მურყანს, ჟოლოს, ხურტკმელს, იკვებება მარცვლეული კულტურებითაც.



დასავლეთ საქართველოში ამჟამად გავრცელებულია ბაღლინჯოების სამი სახეობა, რომლებიც მავნეობენ თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე. საკვების მოპოვების მიზნით, ისინი ხორთუმით ჩხვლეტენ მცენარის ახალგაზრდა ნაწილებს, ძირითადად ყლორტებს, კვირტებს, ფოთლებს, ნაყოფს. კვების პროცესში ნერწყვთან ერთად ისინი გამოყოფენ შხამს, რომელიც იწვევს მცენარის უჯრედების დაშლას. დაზიანებულ ადგილზე ჩნდება სხვადასხვა ფერის ლაქები, ყლორტები ყვითლდება, ჩამორჩება ზრდაში და თანდათანობით ხმება. კვირტის დაზიანების შემთხვევაში იწყება ყვავილების ცვენა, ან ვღებულობთ ძლიერ დეფორმირებულ ფოთლებსა და ნაყოფს. საყურადღებოა, რომ მწერისგან დაზიანებული ნაყოფის მიღება საკვებად არ არის რეკომენდებული.

<u>თხილის კვირტის ტკიპა.</u> გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. აზიანებს საყვავილე და საფოთლე კვირტებს. დაუზიანებელი კვირტებისაგან განსხვავებით, დაზიანებული კვირტი დიამეტრში მნიშვნელოვნად იზრდება. ის ჯერ მწვანე ბაცი ფერისაა, შემდეგ წითლდება და ბოლოს ყავისფერი ხდება. დაბერილი კვირტების შიგნით ათასობით ტკიპაა. დაზიანებული კვირტები გაზაფხულზე არ იშლება, ხმება და ცვივა, ზოგჯერ იძლევა განუვითარებელ ფოთლებს და ნაყოფს.

<u>ამბროზიის ხოჭო ანუ მერქნიჭამია ქსილობორუსი</u> (სახეობა შეუსწავლელია). სავარაუდოდ, ქერქიჭამიას ორი სახეობა ვითარდება: ქერქში და მერქანში. ხოჭოები დაფრინავენ მაის-ივნისში.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში დაფიქსირებულია ამბროზიის ხოჭოს მიერ დაზიანებული თხილის მცენარეები. მავნებლის ბიოლოგიური თავისებურებები თითქმის შეუსწავლელია. იგი აზიანებს თხილის შტამბს. დაზიანების ადგილას სიგრძივ ზოლებად გასდევს სხვადასხვა ზომის მოყავისფრო ლაქები, რომლის შიგნით, მცენარის ქერქზე შეიმჩნევა ნახვრეტი. ხის ტანი დაზიანების ადგილას მუქია ან ღია ყავისფერი. შემდგომში ხოჭო ღრმად შედის მერქანში.

<u>თხილის ცხვირგრძელა</u> (სახეობა ძირითადად შესწავლილია). აზიანებს თხილისა და მუხის კვირტებს, კოკრებს, ნასკვებს, ახლადფორმირებულ ნაყოფს. თხილს ასევე მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ მავნებლები.

ხოჭო საშიში საკარანტინო მავნებელია და სათანადო შესწავლას საჭიროებს.

<u>ამერიკული თეთრი პეპელა</u> (პრაქტიკულად, შესწავლილია და რეგულირდება).

<u>თხილის შავი ხარაბუზა.</u> აზიანებს აგრეთვე რცხილას, წიფელს, თელას (შეუსწავლელია).

<u>მურყნის ფოთოლჭამია</u> (შეუსწავლელია).

<u>აბზინდას (მთვარისებური) მზომელა</u> (შეუსწავლელია).

<u>ვაზის ლურჯი რწყილი</u> (ეს სახეობა სრულიად შეუსწავლელია).

თხილის დაავადებები

თხილზე გვხვდება მრავალი სოკოვანი დაავადება, როგორიცაა: თხილის ნაცარი; თხილის ყავისფერი სიდამპლე; ნაცრისფერი სიდამპლე; თხილის ნაყოფების ფუზარიოზი; ვარდისფერი სიდამპლე; ნაცრისფერი სილაქავე; თხილის ალტერნარიოზი; თხილის ვერტიცილიოზური ხმობა; ფომოზი; თხილის მონილოზი; თხილის ფომოფსისი და სხვა.

ზემოთ აღნიშნული დაავადებებიდან თავისი მავნებლობით გამოირჩევიან:

<u>თხილის ნაცარი</u> – დაავადების შედეგად ფოთლებზე, უმეტესად ქვედა მხარეზე ნაცრისფერი თხელი ფიფქი ვითარდება, რის შედეგადაც ისინი ყვითლდება და ნაადრევად სცვივა. დაავადება იწყება ქვედა ფოთლებიდან და შემდეგ კი ზევითაც გადადის. შედეგად მცენარე სუსტდება და რამდენიმე წლის შემდეგ ხმება.

<u>თხილის ყავისფერი სიდამპლე ანუ ანთრაქნოზი</u> თხილის დაავადებათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა. ავადდება თხილის მიწისზედა თითქმის ყველა ორგანო. ფოთლების დაავადებისას მათზე ჩნდება მურა ყავისფერი ან მოწითალო უსწორმასწორო ლაქები, რომლებიც ზოგჯერ ნახევარ ფოთოლს მოიცავენ. დაავადების შედეგად ფოთლის ქსოვილები ისე იშლებიან, რომ ლაქიან ადგილებში ხშირად მხოლოდ ძარღვები რჩება. გამხმარი ნაწილი კი იფშვნება და ცვივა. ტოტებზე დაავადება უმეტესად წვეროდან იწყება. ზრდადამთავრებულ ტოტებზე ყავისფერი ლაქები ჩნდება, ყავისფერი სიდამპლით ნაყოფი შეიძლება დაავადდეს მისი განვითარების ყველა პერიოდში. ნაყოფის გული დამპალია, აქვს მწარე გემო და უსიამოვნო სუნი.

<u>თხილის ნაცრისფერი სიდამპლე</u> – დაავადების შედეგად გაზაფხულზე ფოთლებსა და ყლორტებზე ჩნდება მოწითალო ყავისფერი, ხოლო შემდეგ მუქი ყავისფერი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ლაქები. ახლად გაჩენილი ლაქა სველია შემდეგ თანდათან შრება, რის გამოც ფერს იცვლის და ბოლოს ნაცრისფერი ხდება.

<u>თხილის ნაყოფების ფუზარიოზი</u> – ავადდება ყლორტები და ნაყოფი. ყლორტები უმეტესად გაზაფხულზე ავადდება. ახალი ყლორტების წვეროებზე მოვარდისფრო ან მოთეთრო ფერის ფიფქი წარმოიქმნება. დაავადება განსაკუთრებით აღინიშნება წაყინვების შემდეგ. დაავადებული ყლორტების წანაზარდები ხმება. დაავადება უმეტესად აღინიშნება ივნისისა და ივლისის შუა რიცხვებში. ხელსაყრელ პირობებში ნაყოფის 8-10 % ავადდება.

ბრძოლის ღონისძიებები

თხილის მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ შემუშავებულია ბრძოლის ოპტიმალური ღონისძიებები, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდში:

ნიადაგის მშრალად დამუშავება, რითაც ისპობა ნიადაგის მავნებლები (მახრა, მავთულა და ცრუმავთულა ჭიები);

გამხმარი ხეების ამოძირკვა, ავადმყოფი ტოტების შეჭრა და დაწვა. ღონისძიება მიმართულია ტკიპების, ნაცრის, ნაადრევი ხმობის და სხვათა წინააღმდეგ.

ღეროსა და დედა ტოტების გასუფთავება ძველი ქერქისაგან – მიმართულია ამბროზიის ხოჭოს, ხავსისა და მღიერების წინააღმდეგ;

ამერიკული თეთრ პეპელას მოზამთრე ბუდეების შეგროვება და მექანიკური განადგურება.

გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში:

გამხმარი ტოტების მოჭრა, კვირტის ტკიპათი დაზიანებული კვირტების შეცვლა, გასხვლა.

პირველი წამლობა – თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში – ქერქიჭამია ქსილობორუსის (ამბროზიის ხოჭო) და თხილის კვირტის ტკიპას წინააღმდეგ მინერალური ზეთის (პრეპარატი 30) – 20 კგ/ჰა ან კორუმას (12 კგ/ჰა) ან ტრინოლ 2-ის (15 კგ/ჰა) ბი-58-თან (2 კგ/ჰა) კომბინირებული ნაზავით ან მის ანალოგებთან (ბიიტალი, ბი-ფოსფინი, დანამიდი, დემეტრა, დინგო, პოლიგორი) შესხურება;

მეორე წამლობა – მარტის ბოლოს, აპრილის დასაწყისში – კვირტის ტკიპას წინააღმდეგ აკარიციდებით-მასაი (0.3 კგ/ჰა) ან ორდუსი (0.6 კგ/ჰა) ან სამმაიტი (0.8 კგ/ჰა) ან საფმაიტით (0.5 კგ/ჰა) წამლობა.

მესამე წამლობა – აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში – შავი ხარაბუზას და კვირტის ტკიპას წინააღმდეგ: აქტარა (0.15 კგ/ჰა) ან აქტელიკი (3 ლ/ჰა) ან ვალსამბა (1 კგ/ჰა) ან კარატე (0,8 ლ/ჰა). ამავე პერიოდში სარეველების წინააღმდეგ ჰერბიციდების შეტანა: კლინი (2.3 კგ/ჰა) ან ნოკდაუნი (2.4 კგ/ჰა) ან ურაგანი (2.3 კგ/ჰა).

მეოთხე წამლობა – ივნისის დასაწყისში – ამერიკული თეთრი პეპელას, ნაცრის, სიდამპლეების და ფუზარიოზის წინააღმდეგ შემდეგი კომბინირებული ნაზავით: კარატე 0.8ლ/ჰა (ან დეცისი 0.8 ლ/ჰა ან ფასტაკი 0.4 ლ/ჰა ან ციპერმეტრინი 0.3 ლ/ჰა) + კვადრისი 1კგ/ჰა (ან მისტაკი 0.5 ლ/ჰა ან ტოპაზი 0.5 ლ/ჰა ან როდოლიტი 0.6 ლ/ჰა) + პოლირამი 3 კგ/ჰა (ან როდოლიტ სუპერი 0.5 ლ/ჰა ან ბაილეტონი 0.3 კგ/ჰა ან ბოტრანი 2 კგ/ჰა ან დითიმეგა 0.8 კგ/ჰა). აღნიშნული ღონისძიებების სწორად ჩატარებით გარანტირებულია მაღალი და ხარისხიანი თხილის მიღება.

თ. ნანეიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკადემიკოსი;

გ. ალექსიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

მ. ლოგუანიძე
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი;

შ. ყანჩაველი,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ს.მ.მ. დოქტორი;

ე. ორჯონიკიძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

P. S. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, ყურადღება მიექცეს მეცნიერთა მიერ სწორად დაყენებულ საკითხს და მოხდეს სახელმწიფო ან კერძო სექტორში მომუშავე ბიზნესმენთა მიერ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის დაფინანსება, რათა არ დაგვემართოს იგივე, რაც ამერიკული თეთრი პეპელას მასობრივი გავრცელების შემთხვევაში, როდესაც ღონისძიებების გატარება უკვე საკმაოდ დაგვიანებული აღმოჩნდა.

ბათუმური გაზაფხული

პოლიტიკური პრაქტიკა მარტო გონიერებაზე არ არის გათვლილ-დაფუძნებული! რისკს და „თავხედობას“ თავისი წილი შეაქვს გამარჯვებაში („ვარდების რევოლუცია“ ამის დასტურია). დღევანდელმა პოლიტიკურმა სპექტრმა უნებლიეთ გასცა „საიდუმლო“. კი, „კოკამ წყალი“ ამჯერად არ მოიტანა, მაგრამ, ხომ გაგვიგია, „ცდა ბედის მონახევრეაო“...

(მესამე გვერდიდან) მარტო აქ და ამ შემთხვევის გამო არ ვრეაგირებ. სხვა რამეც მედარდება, ზოგადიც, რაც ადამიანებისადმი დამოკიდებულებას ეხება და კონკრეტულიც, რამეთუ იგი შეეხო იმ ადამიანებს, ვისაც კარგად ვიცნობ, ვინც ჩემს თვალწინ გაიზარდა, მიიღო კარგი განათლება (საქართველოში!!!!), დაიხვეწა, ჩამოყალიბდა ქვეყნის მსახურად. ახლა ისინი უმუშევრები დარჩნენ. იმიტომ, რომ ახლა შემცირებები მიდის. ტრაგედიამდე შეიძლება მივიდეს ცალკეული შემთხვევები.

ოპტიმიზაციის ეს აუცილებელი (!!!!) პროცესი თავად არის მტკივნეული და ამას რომ სიუხეშე, სიხისტე, უგულობა, ნეპოტიზმი, „კომაროველობა“ და „ქართუჯგუფელობა“, კიდევ „რაღაც-რაღაცები“ ემატება, მაშინ უკმაყოფილების და ნაწყენი პერსონების რიცხვი კატასტროფულად მატულობს.

კაცს რომ მომავალს წაართმევ, ან გაურთულებ, ის წარსულზე იწყებს ფიქრს! და არა მარტო წარსულზე! ის მისი გაჭირვების მონათესავეებთან ეძებს საერთო ენის გამონახვას. სწორედ ასეთი კონტინგენტი (ყველა არა, მაგრამ არც თუ მცირერიცხოვანი ნაწილი) ამდიდრებს უკმაყოფილოთა „ჯარს“. სწორედ ასეთებს ეძებენ ისინი, ვინც მერე აწყობს „მაიდანს“, „ბათუმს“, „მარნეულს“...

არ ვიცი, ვინ „გენიოსმა“ და როგორი პოლიტიკური თუ მენეჯერული წარსულის მქონე მორიგმა „კომბლეთმცოდნე“ – ძლიერმა პერსონამ მოიფიქრა-შეარჩია თარიღი, მაგრამ ზოგადად ახალი წლის (!!!!) წინა დღეებში (!!!!), კონკრეტულად კი 31 დეკემბერს (!!!!), შტატების შემცირების მიზნით სახელმწიფო აპარატის თანამშრომელთა მასობრივი განთავისუფლება პოლიტიკური კრეტინიზმის და ადამიანური უგულობის ქრესტომათიული ნიმუშია.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება რამდენიმე წლის წინანდელი შემთხვევა, როცა ერთმა ბრიყვმა „ბოსმა“ მის დაქვემდებარებაში მყოფი ფეხბურთელთა გუნდის უფროსის თანამდებობიდან გაანთავისუფლა დათო ყიფიანის ვაჟი და ეს ზუსტად (!) დაამთხვია ლეგენდის დაბადების დღეს (!). ალბათ, სხვა დროს „ინციდენტი“ ჩვეულებრივ სინანულს გამოიწვევდა, მაგრამ როცა ეს გადაწყვეტილება „გამოაცხადეს“, სასაფლაოზე დათოს ხსოვნისადმი პატივსაცემად მისული ასეულობით ადამიანის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა და... თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ გადატრიალდებოდნენ საფლავში იმ „ბოსის“ მშობლები, რომელთა მისამართით ისმოდა დაუფარავი ლანძღვა-გინება, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გაზარდეს ასეთი „გულიანი“, „წინდახედული“ კაცუნა, რომლის „უმწიკვლო“ რეპუტაციაზე ლეგენდები დადიოდა. და როცა მას, მომდევნო ხელისუფლებამ არაერთი მოპარულ-ქრთამად აღებული მილიონი მოატანინა და ციხეში ჩასვა, ბევრს არ წამოსცდენია თანაგრძნობის სიტყვები. ასე იცის ზედმეტმა „სიბრძნემ“!

შეიძლება, ვინმეს გაუკვირდეს ის, თუ რა კავშირშია ეს თემა ბათუმის სამწუხარო-სამარცხვინო ფაქტთან. მაგრამ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს და წინანდელი უსიამო მოვლენები („მეჩეთთან“ დაკავშირებული), სწორედ ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების, მოსახლეობასთან გულრწფელი ურთიერთობის, ახსნა-განმარტებითი ინფორმაციის დეფიციტის, ავტონომიურ (!) რესპუბლიკაში (და არა მარტო იქ) კადრების შერჩევის სფეროში არსებული ნაკლოვანებების სიბრტყეში უნდა იქნეს განხილული.

ახლა ყველას, მართებულად თუ სრულიად უსაფუძვლოდ აკერია პირზე ე.წ. „თათრის“ თემა - ვითომ, რომელიღაც ჩინოსნის წამოროშვა. დარწმუნებული ვარ, რომ ოფიციალურ დონეზე, არაფერი მსგავსი არ თქმულა და ამის მტკიცება აბსოლუტური სისულელე გახლავთ! მაგრამ, ნათქვამია, ცოდვა გამხელილი ჯობსო: განა ყოფით დონეზე, ვინმე ხეპრეს არ უყბედია მსგავსი რამ? რეაქცია გვქონდა ადეკვატური? არადა, უმკაცრესი პასუხი უნდა გაეცეს ასეთ „ხუმრობებს“, ასეთ ბოდვებს, შანთით უნდა ამოიწვას სულ მცირე ფესვიც კი, თუკი სადმე არსებობს ნოყიერი ნიადაგი მისი აყვავილებისთვის.

მმართველობითი აპარატის წინა თაობებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ აჭარა, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა სპეციფიკური სფეროა და იგი ერთობ ფაქიზ მიდგომა-მოპყრობას მოითხოვს. ზოგიერთ „ცხელ თავს“ დაუფიქრებლად რომ „ჭრის და კერავს“, მართებს არა მარტო ამ თემის ღრმა გააზრება, არამედ, სერიოზული თავშეკავებაც მაშინ, როცა საუბრობს აჭარის ავტონომიის არსებობის მართებულობაზე, მასთან დაკავშირებულ ისტორიულ, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ, დიპლომატურ და რელიგიურ პრობლემატიკაზე. რაც შეეხება ე.წ. „აჭარის სეპარატიზმის“ თემას, ამაზე წერა კი არა, საკუთარ გონებაში ფიქრად გაელვებაც კი დაუშვებელია და მისი ავტორი (თუ გულწრფელია) – სამკურნალოა, და თუ შეგნებულად „ბჟუტურობს“ მეცნიერულ-პუბლიცისტურად – დასაგმობი, რამეთუ ამ ე.წ. „იდეის“ შეგნებულად მქადაგებელი საქართველოს მტრების წისქვილზე ასხამს წყალს და, აქედან გამომდინარე, იგი პატრიოტის ნიღაბამოფარებული აშკარა მტერია!

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სფეროში ბრძნულად დალაგებულ პრაქტიკაში დევს აფხაზეთსა და ოსეთთან ურთიერთობის გაჯანსაღების „გასაღებიც“. ეს სისხლხორცეულად უნდა შეიგნონ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სცენაზე „მოთამაშე“ ძალებმა, რომლებმაც ხელისუფლებისთვის ბრძოლისას საკუთარ თავს კატეგორიულად უნდა აუკრძალონ ეროვნულ-ეთნიკური „აქცენტების“ დაუფიქრებლად გამოყენება. და ამ თემისადმი ფაქიზი, გაწონასწორებული მიდგომის სულისკვეთებით გამოაწრთონ პოლიტიკოსთა ახალგაზრდა თაობები. განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, ამ შემთხვევაში, მართვის აპარატი, რომლის ზოგიერთ წარმომადგენელს, სამწუხაროდ, გათავისებული აქვს უჭკუოთათვის დამახასიათებელი დევიზი: მე ვარ და ჩემი ნაბადი!

გამოძიება, ალბათ, დაადგენს რეალურ მიზეზებს, მაგრამ არცთუ ბოლო რიგში იქნება ზოგიერთი, კონკრეტული პოლიციელის მხრიდან უბრალოდ უკულტურო მიმართვა ან „სხვისი ჭირის ღობეს ჩხირის“ პრინციპი.

ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ზოგადად პოლიციისადმი უნდობლობის, მისდამი რაიმე უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლინებას. პირიქით! ასევე, წამით არ მინდა ვინმემ დაუშვას პროვოკატორთა ქმედების ან ვანდალიზმის იოტისოდენა გამართლებაც კი. აქაც, პირიქით! ამ სამარცხვინო, აღმაშფოთებელი, კანონის აბუჩად აგდების აქციის ორგანიზატორები და ვანდალური აქტების უშუალო შემსრულებლები კანონის სრული მოთხოვნების შესაბამისად უნდა შეფასდნენ, მათთან „ენის მოჩლექით“ საუბარი ყოვლად დაუშვებელია. მაგრამ აქსიომაა ისიც, რომ სამართალდაცვის მეთოდი არ ნიშნავს მხოლოდ ძალისმიერ ქმედებას – ხელების გადაგრეხას, ბორკილების დადებას, მანქანაში ვინმეს ძალით ჩატენვას... და თუ მოქალაქეებისგან მოვითხოვთ კანონისადმი და მისი წარმომადგენლებისადმი პატივისცემას და უყოყმანო დამორჩილებას, ადამიანებს – მოქალაქეებს ასჯერ, ათასჯერ მეტად სჭირდებათ უფრო მეტი ყურადღება, სითბო, ზრუნვა და პატივისცემა ხელისუფლების (რიგითი პოლიციელიდან პრეზიდენტამდე) მხრიდან.

(ამ მხრივ გამიჭირდება ბევრი მაგალითის მოტანა, მაგრამ უნიკალური და მისასალმებელია მინისტრის კახი კახიშვილის და მისი აპარატის მიერ გადადგმული ნაბიჯები. ოღონდ, პარადოქსი ის არის, რომ კახიშვილი პატიმრებზე მუდმივად ზრუნავს (რაც ერთობ დასაფასებელია), ხოლო თავისუფლებაში მყოფი ადამიანებისადმი ზრუნვა, ეტყობა, ციკლურია და მომავალი არჩევნების წინა პერიოდში უნდა ველოდოთ).

და ეს ყურადღება ისე „ბღუჯა-ბღუჯად“ უნდა ვლინდებოდეს, რომ მოსახლეობას სასიამოვნოდ „აჟრიალებდეს“ და არა ისე („დედების მოკითხვით“), როგორც მაშინ, როცა ეცნობა იმ პრემიების რაოდენობას, ასე ურცხვად რომ „აჯილდოებენ“ საკუთარ თავს „ხალხის მსახური პერსონები“ და უტიფრად ამართლებენ ყოველგვარ ზღვარგადასულობას (ამ შემთხვევაში, „ცესკო“-ს ქალბატონი „ბოსის“ შემთხვევა აბსოლუტურად უნიკალურია). და მერე ვინმეს უკვირს, რატომ მიმართავენ ადამიანები ქუჩას?

დიახ, ქუჩას და, ვვარაუდობ, რომ ნელ-ნელა ქუჩა გადაიქცევა პოლიტიკური პაექრობა-დაპირისპირების არენად. მით უმეტეს, მარტი (!!!) დადგა და... დათბობა წინ გველის!

სხვათაშორის, თავის დროზე, კომუნისტები ხელისუფლებაში მოვიდნენ „ქუჩით“! და როცა დაკარგეს ქუჩა, დაკარგეს ხელისუფლებაც...

ნაცმოძრაობაც მოვიდა „ქუჩით“ და ადეკვატური ლოზუნგებით! 2012 წლის არჩევნებამდე სამი დღით თავისუფლების მოედანზე და რუსთაველის პროსპექტზე გამართულმა „ქოცების“ დემონსტრაციამ დაანონსა ნაცების მხრიდამ „ქუჩის“ დაკარგვა! შედეგი ცნობილია! ანუ „ქართული ოცნებაც“ პოლიტიკაში მოვიდა „ქუჩით“ და, ალბათ, არ უნდა იყოს საკამათო ის მოვლენა, რომ მმართველი ძალა კარგავს კონტროლს „ქუჩაზე“.

და ეს მოსაზრება რომ სწორად იქნეს აღქმული, ვაზუსტებ: „ქუჩით“ მოსვლა არ ნიშნავს „ქუჩურ“ საუბარს და ქცევა-ქმედებას, ისე, როგორც ეს მოხდა ბათუმში.

ბათუმურმა „გაზაფხულმა“ დაგვანახა, რომ „ქუჩა“ დავიწყებული არ არის! და რაც არ უნდა გულნატკენი ვიყოთ ვანდალიზმით, ზოგიერთების პრიმიტიული აზროვნებით, ბილწსიტყვაობით, აშკარა პროვოკატორთა აბსოლუტურად მიუღებელი ულტიმატუმებით, უნდა ვაღაროთ, რომ მოგვწონს თუ არა, ყველაფერი მეტყველებს იმის საშიშროებაზე, რომ „ქუჩა“ კვლავ რჩება პოლიტიკური ბრძოლის იარაღად. ამ „იარაღს“ ახლა „ასუფთავებენ“, „ამზადებენ“, იყენებენ მოსამზადებლად, გასაწვრთნელად ისინი, ვისაც ამ მხრივ მეტი გამოცდილება აქვს.

პოლიტიკური პრაქტიკა მარტო გონიერებაზე არ არის გათვლილ-დაფუძნებული! რისკს და „თავხედობას“ თავისი წილი შეაქვს გამარჯვებაში („ვარდების რევოლუცია“ ამის დასტურია). დღევანდელმა პოლიტიკურმა სპექტრმა უნებლიეთ გასცა „საიდუმლო“. კი, „კოკამ წყალი“ ამჯერად არ მოიტანა, მაგრამ, ხომ გაგვიგია, „ცდა ბედის მონახევრეაო“...

„ბათუმური გაზაფხული“ გაკვეთილია. გაკვეთილი ნიჭიერი, დაფიქრებული, სწავლას მოწყურებული მოსწავლეებისთვის. ამ ინციდენტმა გამოცდილება უნდა შეჰმატოს მათ, ვისაც სწავლა უნდა, ვისაც ქვეყანა „უყვარს თავის თავში და არა საკუთარი თავი ქვეყანაში“. რატომღაც მგონია, რომ...

მეტისმეტად სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნება“, მისი მთავრობა, მისი ორ-სამ თვეში ცხვირაწეული და „სხვისი“ ძალით გადიდგულებული „ელიტა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს კლასიკას: ისტორია ასწავლის იმას, რომ... არაფერს ასწავლის!



ასეა ეს, როგორც ჩვენი დათა იტყოდა, თუთაშხია!

ტაში, კუკური!!!

ნუგზარ ფოფხაძე

იდენტიფიცირების მიზნით...

ბათუმში გამართულ აქციაში მონაწილე პირების იდენტიფიცირების მიზნით, სხვადასხვა ტელეკომპანიიდან კადრების ამოღება ხდება, – ამის შესახებ აქციის ერთ-ერთი დაკავებული მონაწილის ადვოკატმა რამინ პაპიძემ განაცხადა.

„ჩვენ არ ვიცით, ვინ იქნება მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუმცა ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს. შესაძლოა, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირებიდან შემდგომ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში ვიხილოთ რომელიმე მათგანი, შესაძლებელია, ვიხილოთ აბსოლუტურად სხვა პირები. ამ ეტაპზე ინფორმაცია ოფიციალურად იდენტიფიცირებული პირების შესახებ არ არის. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მიმდინარეობს მტკიცებულების მოპოვება. კერძოდ, სხვადასხვა ტელეკომპანიიდან სასამართლოს განჩინებების მეშვეობით, ხდება კადრების ამოღება“, – განაცხადა ადვოკატმა.

* * *

ბათუმში გამართული აქციის დროს დაკავებულ 4 პირს – მამუკა ბერიძეს, ცოტნე აბულაძეს, ალექსანდრე ბაზაღჩიანსა და ზაზა ქოქოლაძეს სასამართლომ 250-250-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა.

სამი მათგანი აბულაძე, ბაზაღჩიანი და ქოქოლაძე ბათუმში არიან რეგისტრირებული. ერთ-ერთი დაკავებული მამუკა ბერიძე კი გორში სწავლობს. ბერიძის დედის განცხადებით, ბათუმში ის დაბადების დღეზე იყო ჩამოსული, აქციაზე კი ძმის მოსაძებნად გავიდა, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. თავად ბერიძე აცხადებს, რომ ნასვამი იყო და ბოდიშს იხდის.

დაკავებულებს ბრალად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლების დარღვევა ედებათ, რაც სამართალდამცავებისთვის დაუმორჩილებლობას და ხულიგნობას გულისხმობს.

რაზე მიანიშნებს აფხაზეთში ჩატარებული უკანონო არჩევნები

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში გამოცხადდა წინასწარი შედეგები ე. წ. საპარლამენტო არჩევნებისა, რომელსაც უკანონოდ მიიჩნევს როგორც თბილისი, ასევე მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა. წინასწარი შედეგების თანახმად, საპარლამენტო არჩევნების პირველსავე ტურში გაიმარჯვა ყოფილმა პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა, რომელიც რუსეთის პოლიტიკის მიმართ გარკვეული წინააღმდეგობით გამოირჩეოდა. ანალიტიკოსების აზრით, პროცესები მიანიშნებს დაპირისპირების გამწვავებაზე პოლიტიკური ელიტის მომხრეებს შორის, თუმცა ეს ბევრს არაფერს შეცვლის საქართველოსთვის. ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ, რუსეთისა და აფხაზეთის წყაროების ცნობით, არაღიარებული რესპუბლიკებისა და რუსეთის გარდა, აფხაზეთში ე. წ. არჩევნებს მეთვალყურეობდნენ პარლამენტარები ბელორუსიიდან. თუმცა მინსკში ამ ფაქტს არ ადასტურებენ.

აფხაზეთში გამართული ე. წ. არჩევნები შემდგარად გამოაცხადა მოსკოვმა. როგორც დუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **კონსტანტინ ზატულინმა** აღნიშნა სოხუმში გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე, „არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარდა“, თუმცა ზატულინს, ცხადია, არ აღუნიშნავს ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ჩატარებულ კენჭისყრას აბსოლუტურად უკანონოდ მიიჩნევს საერთაშორისო თანამეგობრობა და შეუძლებელია, რომ პროცესი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში შეფასდეს. წერილობით განცხადებაში, რომელიც 12 მარტს გამოაქვეყნა ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკური ლიდერის ფედერიკა მოგერინის წარმომადგენელმა **მაია კოციანჩიჩმა,** ნათქვამია, რომ ევროკავშირი არ ცნობს კონსტიტუციურ და საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელშიც აფხაზეთის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ტექსტში კიდევ ერთხელ არის დადასტურებული ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ.

იმაზე, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღიარებს 12 მარტს აფხაზეთში ჩატარებულ ე. წ. საპარლამენტო არჩევნებს, მეტყველებს ასევე პროცესის მეთვალყურეთა შემადგენლობაც, რომლის შესახებ აქტიურად იუწყება რუსულენოვანი მედია. ამ მონაცემებს ემთხვევა ინფორმაცია, რომელიც რადიო „თავისუფლების“ რუსულენოვან პროგრამა „ეხო კავკაზას“ მიაწოდა სოხუმელმა კორესპონდენტმა ელენა ზავოდსკაიამ:

„დღეს აფხაზეთში არ არის პოლიტიკური ძალა, რომელიც პროქართულად შეიძლება იყოს განწყობილი. ასეთი ძალა აფხაზეთში არ არსებობს და ვერც იარსებებს. თითოეული პოლიტიკური ძალა, რომელიც წარმოდგენილია დღეს აფხაზეთის პოლიტიკურ რეალობაში, მეტ-ნაკლებად ლოიალურია რუსეთის მიმართ...

აფხაზეთში არჩევნების მონიტორინგს ახორციელებდა 39 საერთაშორისო მეთვალყურე. მათ შორის იყვნენ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის წარმომადგენლები, პარლამენტარები ბელორუსიის რესპუბლიკიდან, ასევე წარმომადგენლები სამხრეთ ოსეთიდან, „არცახა“ (მთიანი ყარაბაღიდან), წარმომადგენლები დნესტრისპირეთიდან, დონეცკის სახალხო რესპუბლიკიდან და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკიდან.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის ე. წ. არჩევნებს მეთვალყურეობდნენ რუსეთი და მისი თანამოაზრეები ძირითადად იმავე რუსეთის მიერ ოკუპირებული და ანექსირებული ტერიტორიებიდან თუ თვითგამოცხადებული რესპუბლიკებიდან.

რაც შეეხება საერთო პოზიციას აფხაზეთის ე. წ. არჩევნებთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო უწყებამ საგანგებო განცხადება გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია, რომ უკანონო არჩევნების ჩატარება **„წარმოადგენს ეთნიკური წმენდის არაერთი ტალღის, სამხედრო ინტერვენციის, ოკუპაციისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმდინარე რუსეთის აგრესიის შედეგების ლეგიტიმაციის მორიგ მცდელობას“**. ტექსტში რამდენჯერმეა ხაზგასმული რუსეთის ფაქტორი:

„ე. წ. საპარლამენტო არჩევნები აფხაზეთის რეგიონში ტარდება იმ ფონზე, როცა რუსეთის ფედერაცია არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს და, ოკუპირებული ტერიტორიების ინტენსიური მილიტარიზაციის პარალელურად, აგრძელებს მათ ფაქტობრივ ანექსიას, რუსეთის სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემაში ინტეგრაციის გზით. ამავდროულად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ლტოლვილებს წართმეული აქვთ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების უფლება, ადგილზე დარჩენილი მოსახლეობა კი იმყოფება მუდმივი ეთნიკური დისკრიმინაციის ქვეშ, უხეშად ირღვევა რა მათი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ამ ფონზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს, ასევე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას არ ეძლევა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე წვდომის შესაძლებლობა“.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, „ჯეროვნად შეაფასოს აფხაზეთის რეგიონში უკანონოდ ჩატარებული ე. წ. საპარლამენტო არჩევნები და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებსა და პრინციპებს“.

იმაზე, რომ აფხაზეთში ჩატარებული ე. წ. საპარლამენტო არჩევნები სრულიად უკანონოა, საქართველოში ყველა თანხმდება და ეს აქცენტი არაერთხელ დაისვა ბოლო დღეებში გაკეთებულ კომენტარებში ხელისუფლების, ოპოზიციისა თუ ექსპერტთა წრეების წარმომადგენელთა მხრიდან. კვირას ამ თემაზე საგანგებო განცხადებები გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტისა და რამდენიმე ათეული არასამთავრობო ორგანიზაციის სახელითაც.

უკვე ცნობილია, რომ ალექსანდრე ანქვაბი იმ 12 დეპუტატს შორის მოხვდა, რომლებმაც 50 %-იანი ზღვარი პირველსავე ტურში გადალახეს და რომლებიც ნამდვილად შევლენ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ახალ პარლამენტში. დანარჩენი 23 დეპუტატის ვინაობა 26 მარტისთვის დაგეგმილი ხელახალი კენჭისყრის შედეგად გაირკვევა. გავიხსენოთ, რომ პრეზიდენტის პოსტი ალექსანდრე ანქვაბმა, ოპოზიციის ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების კვალდაკვალ, 2014 წლის 1 ივნისს დატოვა, რის შემდეგაც ჩატარდა ე. წ. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. ანქვაბის პრეზიდენტობის დროს, სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, აფხაზეთში წინააღმდეგობა შეხვდა რუსეთის მიერ სოხუმისა და ცხინვალისთვის შეთავაზებულ იდენტურ დოკუმენტებს. საუბარია ე. წ. ხელშეკრულებაზე მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. ამ მხრივ რუსეთს აფხაზეთში გარკვეულ დათმობაზე წასვლა მოუხდა. ასევე ალექსანდრე ანქვაბის სახელს უკავშირდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების დარიგების სკანდალიც.

რაც შეეხება საოკუპაციო ხაზზე ოტობაია-ორსანტიისა და ნაბაკევი-ხურჩის საკონტროლო-გამშვები პუნქტების ჩაკეტვას, რაც, ბევრის აზრით, სოხუმმა წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად აქცია, ეს პროცესი შეუქცევადი არ არის და საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მუშაობის შედეგად, შესაძლოა, თავად აფხაზებმაც აღიარონ, რომ გზების ჩაკეტვა არც მათთვის არის ხელსაყრელი. სხვათა შორის, ხსენებული საკონტროლო-გამშვები პუნქტები 2013 წლის მაისში, ალექსანდრე ანქვაბის პრეზიდენტობის დროს, გაიხსნა.

ლელა კუნჭულია

ნატოს გენერალური მდივნის ანგარიშში საქართველო ალიანსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორად არის მოხსენიებული

2017 წლის 13 მარტს გამოქვეყნდა ნატო-ს გენერალური მდივნის 2016 წლის ანგარიში, რომელიც გასულ წელს ალიანსის მიერ გაწეულ საქმიანობას ასახავს. დოკუმენტის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო უწყება ავრცელებს:

„დოკუმენტში მიმოხილულია მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება, ალიანსის წინაშე მდგარი გამოწვევები და ალიანსის მხრიდან ამ გამოწვევების საპასუხოდ გადადგმული ზომები.

დოკუმენტში საქართველო მრავალი კონტექსტით არის ნახსენები. აღნიშნულია, რომ საქართველო არის ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი და მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნატოს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში.

აღსანიშნავია, რომ ნატოს გენერალური მდივანი საქართველოზე საუბრობს ალიანსის ღია კარის პოლიტიკის კონტექსტში. როგორც იანს სტოლტენბერგის ანგარიშშია აღნიშნული „ნატოს ღია კარის პოლიტიკა არის ალიანსის ფუძემდებლური პრინციპი და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო წარმატებულ პოლიტიკას. 2016 წელს ალიანსში მოწვეულ იქნა მონტენეგრო. მისი მიწვევა არის ნათელი დადასტურება, რომ ნატოს კარი ღიაა იმ ქვეყნებისთვის, ვისაც სურთ გაწევრიანება და აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს. ამ თვალსაზრისით, ალიანსი აგრძელებს მუშაობას ასპირანტ სახელმწიფოებთან — ბოსნია-ჰერცეგოვინა, საქართველო და მაკედონია. ნატოს აქვს თანამშრომლობის ძლიერი პროგრამა თითოეულ ამ ქვეყანასთან, რათა დაეხმაროს მათ რეფორმების განხორციელებასა და ალიანსის წევრობისთვის მომზადებაში“ — ნათქვამია გენერალური მდივნის ანგარიშში.

ცალკე ქვეთავი ეძღვნება ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის განხორციელების საკითხებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოში თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება პაკეტის საშუალებით ხორციელდება. ნატო საქართველოს სთავაზობს ექსპერტულ დახმარებას სტრატეგიული დაგეგმარების, სპეციალური დანიშნულების ძალების და სამხედრო პოლიციის, ლოგისტიკის, ავიაციის, საზღვაო, საჰაერო თავდაცვის მიმართულებებით. პაკეტის ფორმატში საქართველოში იმართება ნატოს წვრთნები (გაიმართა 2015 და 2016 წლებში) და ასევე, საქართველო მონაწილეობს ალიანსის წვრთნებში. პაკეტის ფარგლებში საქართველოში დაფუძნდა წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა.

დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში და აღნიშნულია, რომ ქვეყანა 870 სამხედრო მოსამსახურის მონაწილეობით არის უმსხვილესი კონტრიბუტორი ალიანსის არაწევრ ქვეყნებს შორის.

კიდევ ერთი ვანდალიზმი ოკუპირებულ სოხუმში

ოკუპირებულ აფხაზეთში კიდევ ერთ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ანგრევენ. ამჯერად სოხუმის ცენტრში წყლის მილის გაყვანის მიზნით, ისტორიული შენობის — თურქული აბანოების ნაწილი ექსკავატორით დაანგრიეს.

გავრცელებული ინფორმაციით ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. კულტურის სამინისტროს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტი სამუშაოების შეჩერებას ითხოვს.

მშენებლების თქმით, ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან სერგეი ბაღაფშის პრეზიდენტობის დროს ამოიღეს. ე. წ. სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ობიექტი ნუსხიდან არ ამოუღიათ და 2015 წლის 29 დეკემბრის განახლებულ ე. წ. სახელმწიფო რეესტრშიც ირიცხება.

სამუშაოების დროს წყლის მილი გასკდა და პროცესი შეჩერდა. თურქული აბანოები 1913 წელს ააშენეს.

აფხაზეთის ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე სამი ქალი დააკავეს

აფხაზეთის ე.წ. საზღვრის ორსანტია-ოტობაიას მონაკვეთზე სამი ქალი დააკავეს. მათ ბრალად ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა ედებათ. დაკავებულები სოხუმის ე.წ. დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში აცხადებენ, რომ ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცხელი ხაზის საშუალებით ამოწმებენ.

ცხრანიგნიანი წელიწადი

საუბრობენ როსტომ ჩხეიძე და თამარ ღონღაძე



— ბატონო როსტომ, ყოველწლიურად თქვენი რამდენიმე წიგნი გამოდიოდა და ისე შევეჩვიეთ ამ ვითარებას, აღარც გვიკვირდა. ცოტა მაინც გაგვაოცა შარშანწინ 7 წიგნის გამოცემამ, შარშან კი ეს რეკორდიც თქვენვე მოხსენით და 9 წიგნი გამოუშვით.

— რეკორდებსა და ამისთანებზე არც მიფიქრია და არცა ვფიქრობ, და 9 წიგნი თუ მოგროვდა, ახლა თქვენგან ვიგებ. იქნებ აჭარბებთ?

— დავითვალოთ და ერთად ვნახოთ.

— ღირს ვითომ?

— რატომაც არა. ორი ბიოგრაფიული რომანი, ერთი სოლომონ დოდაშვილზე — „მისიონერი“...

— რამდენი ხანია, მაწვალებდა სოლომონ დოდაშვილის სახება, პერსონაჟად კი რამდენიმე რომანში აუცილებელი გახლდათ მისი გამოჩენა, მაგრამ ცალკე წიგნსაც თუ არ მივუძღვნიდი, ის პერსონაჟობა რა ბედენა იყო. სოლომონი სხვა მოვლენაა, სხვა სიმაღლეა და მისი ბედისწერა, გადაჯაჭვული თავისი სამშობლოს ბედთან, სრულყოფილად უნდა წარმოსახულიყო.

— და მეორე კონსტანტინე გამსახურდიაზე — „პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა“.

— იმ რომანის დაწერას კი სიყმაწვილიდან ვოცნებობდი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ მეთაურზე, მაგრამ კონსტანტინეზე ბიოგრაფიული ქრონიკა არც მიფიქრია, მითუმეტეს, სოსო სიგუას შესანიშნავი ქმნილება მოგვეპოვება ამ ჟანრისა, მაგრამ რებეკა ვაშაძესთან გაგზავნილი ბარათების გამოცემამ ცალკე წიგნად — თიურა ვაშაძისა და „არტანუჯის“ ერთობლივმა პროექტმა — თავისთავად ამიყოლია. ჯერ ვრცელ რეცენზიას ვაპირებდი, მერე ბიოგრაფიული ნატეხებივით გამოიკვეთა და მეგონა, ამ ჟანრს ვიკმარებდი, მაგრამ მღელვარე განცდებიდან რომ ამოვყვინთე, ხელთ ბიოგრაფიული რომანი შემრჩა.

— სარეკორდო დროშია შექმნილი: 9 აპრილიდან 26 მაისამდე.

— დღეს სულ რა რეკორდები გახსენდებათ.









— რა ვიცი, ეგრე კი არის და... ბიოგრაფიული ნატეხები რომ ახსენეთ, ამ ჟანრის თხზულებაც ორი გამოეცით, ერთი ვლადიმერ ჟვანიაზე — „მარტოხელა მგელი და გედის ნისლეული“...

— არ არის, არა, დასაკარგი კაცი. შესაფერისი ადგილი უკვე მიეჩინა საქართველოს იატაკქვეშა ბრძოლისა და ზნეობრივ ისტორიაში ელგუჯა თავბერიძისა და ჯემალ ფოცხვერიას წიგნების წყალობით, მაგრამ ეს თხზულებაც უნდა მიმატებოდა, რათა კვლავ და კვლავ ტრიალებდეს მისი სახელი საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

— და მეორე თედო რაზიკაშვილზე — „ხელთუბანი“.

— თავიდან მართლაც ასე მქონდა განზრახული, ბიოგრაფიული ნატეხების ციკლისათვის მიმემატებინა, მაგრამ არამარტო ამ თხზულებამ გადააჭარბა იმ ჟანრის ფარგლებს, საკმაო მასალა დამიგროვდა მის ძმაზეც, ნიკო რაზიკაშვილზე, ბაჩანას ფსევდონიმით რომ არის ცნობილი, თანაც ხელსაყრელი საშუალება მეძლეოდა, სწორფრობისა და წაწლობის, ერთი ხევსურეთსა და მეორე ფშავში, წეს-ჩვეულების ირგვლივაც საგანგებოდ დავფიქრებულიყავი. ასე რომ, „ხელთუბანი“ ცალკე კი გამოიცა, მაგრამ ერთი ნაწილია რომან-დილოგიისა „რაზიკაანი“.

— როდის ვარაუდობთ ამ დილოგიის მოთავებას?

— ჩვენი ხელიდან მოთავებულია უკვე, „მოკვეთილი“ დასრულებულიცაა და გამოსაცემად გამზადებულიც.

— ეს თქვენი 21-ე ბიოგრაფიული რომანი იქნება?

— არა, 22-ე, რადგან დილოგიის ნაწილებს შორის დაიწერა ამ ჟანრის თხზულება გიორგი შატბერაშვილზეც — „მარტოხე“, რომელიც ჩემს გამოსაცემ წიგნთა შორის ერთი პირველთაგანია.

— სულ მინდოდა მეთქვა და ამჯერად რაღას გადავდო. თქვენს ბიოგრაფიულ რომანებსაც სავსებით მიესადაგება გიორგი ლეონიძის ის სიტყვები, იონა მეუნარგიაზე რომ თქვა: მისი ნაწერები სპილოს ძვალზე ჭრას მაგონებს. რა საამოა მისი ბიოგრაფიების კითხვაო.

— ხომ არ აზვიადებთ?

— ასე კი ვფიქრობ და... ისე წელსაც, ეტყობა, საკმაოდ უნდა ველოდეთ თქვენს წიგნებს.

— რეკორდი აღარ მიხსენოთ.

— აღარც ვაპირებდი, ამიკრძალეთ და... ისე კი მოულოდნელი იყო თქვენგან ენათმეცნიერული ყაიდის მონოგრაფიის შექმნა — „ჟარგონი და მეტსახელი“. ჟარგონზე კი გქონდათ რეცენზია-ნარკვევი, ლევან ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონითა“ და ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი ლაბორატორიით შთაგონებული, მაგრამ მეტსახელი?

— აქეთაც ამავე შემოქმედებითმა ლაბორატორიამ, მამას არქივში დაცულმა მასალებმა მიბიძგა, თანაც ძალიან მომინდა ჩემი სიჭაბუკის იმ დღეების გახსენება, როდესაც ლიტერატურულ ინტერესებზე მეტად ენათმეცნიერული ინტერესები მაღელვებდა. სხვათა შორის, ამ წიგნის წარდგინებაზე თელავისა და სოხუმის უნივერსიტეტებში, გამომსვლელებმა, მათ შორის ენათმეცნიერებმაც, მას სულ ლინგვისტური რომანი უძახეს და... ამან შემაგულიანა, მართლაც ლინგვისტურ რომანად მექცია — მივამატე ტოპონიმიკურ ძიებათა ნაწილიც, კვლავაც რეცენზია-ნარკვევის სტილში, ჩემი ადრინდელი ენათმეცნიერული სტატიები და ნარკვევებიც მოვიძიე და... ორიგინალური სტრუქტურის წიგნი შედგა, აღნაგობითაც უკვე რომანის შესაფერისი.

— ლინგვისტური თუ პოსტმოდერნისტული რომანის?

— ორივე ზუსტად განსაზღვრავს მის შინაარსს. მე მაინც ლინგვისტურად მოვიხსენიებ ხოლმე, სალიტერატურო კრიტიკამ კი თუნდ პოსტმოდერნისტულ მიმართულებას დაუკავშიროს.

— „ჟარგონსა და მეტსახელზე“ მოულოდნელი რომ ვთქვი, ის მთლად სენსაციური იყო — „მზის საფეხურები“, ლექსები პროზად, ანუ თქვენი ყრმობის მოგონებანი, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხისა“ არ იყოს.

— ეს ციკლი ერთბაშად დაიწერა, ორ ბიოგრაფიულ რომანს შორის, გარეგნულად სულის მოთქმასავით გამოვიდა, თუმც ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც სული მოვითქვი — მინიატიურების მცირე წიგნიც, ლექსებისა არ იყოს, ისეთ სულიერ დაძაბვას მოითხოვს, შესაძლოა, ამ მხრივ რომანს არც ჩამოუვარდებოდეს.

— პიესას კი ველოდით თქვენგან, ის კი არა, ცოტა კიდეც გაგვიგრძელდა ლოდინი, თუმც „ბედი-მდევარი“, მონტაჟი ორ მოქმედებად და ათ სურათად მიხეილ ჯავახიშვილისა და მისი დაუწერელი მოთხრობის ტრაგედიაზე, ამ ლოდინად ნამდვილად ღირდა.

— ძალიან აწვალებდა მწერალს ეს თემა — მისი პერსონაჟები იკრიბებოდნენ და ასამართლებდნენ, ერთხელ ფიქრობდა ინტენსიურად და... ჩამოეხსნებოდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ჩაუღრმავდებოდა, მაგრამ... რაღაც აფერხებდა და სულ იქით და იქით სდებდა, ვიდრე მართლაც მისი პერსონაჟები გაასამართლებდნენ...

— როგორც მინაწერში აღნიშნავთ, თქვენც კარგა ხანს გაფერხებდათ რაღაც და... თითქოს მეორე სუნთქვა გაგეხსნათ, გორის დრამატულ თეატრში სოსო ნემსაძემ თქვენი პიესა რომ დადგა იაკობ გოგებაშვილზე — „იის სურნელი თოვლში“, და მთავარი როლის შემსრულებელი სოსო მგალობლიშვილი გარეგნულად ძალიან წააგავდა მიხეილ ჯავახიშვილს. ისეთი შეგრძნება გაგიჩნდათ, რომ ამ ახალ პიესის განხორციელებისას სცენაზე მთავარი როლის შემსრულებელი საძებარი აღარ იქნებოდა.

— ასე იყო, სოსო მგალობლიშვილის ნახვამაც მიბიძგა „ბედი-მდევარის“ შესაქმნელად და, საერთოდ, იმ წარმატებულმა სპექტაკლმაც, სოსო ნემსაძემ ზუსტად რომ მოარგო გასაღები პიესას და იაკობ გოგებაშვილი ამიტომაც აიზიდა მონუმენტურ სიმაღლეზე. თან პოლიტიკური თეატრის დასამკვიდრებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა.

— ორიგინალური წიგნების გარდა, თარგმნილი ნიმუშებიც გამოჩნდა შარშან — თქვენი და პაატა ჩხეიძის ერთობლივი ნამოღვაწარი. ერთია ლორდ ბაირონის „დონ ჟუანი“ პროზად, არა XIX საუკუნის ეპოსად, არამედ თანამედროვე რომანად...

— ის გზა გავაგრძელეთ, „ვისრამიანის“ უცნობი მთარგმნელისა და ჰომეროსის „ოდისეას“ ამამეტყველებელთა ქართულ ენაზე, ჩვენთვის ძვირფას პიროვნებათა — ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელის.

— არამარტო გააგრძელეთ, არამედ თქვენი „დონ ჟუანიც“ უდავოდ ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების იშვიათ მიღწევათა შორისაა საგულვებელი.

— ნუ ვიჩქარებთ ამგვარ შეფასებას. თუკი მართლაც ასეა, არც დაიკარგება. ისე ამგვარ ნამუშევრებზე ითქმის ხოლმე: მთელი ცხოვრება და კიდევ რამდენიმე წელი მოვანდომეთო.

— კიდეც გაგიმართლათ და რაღა გინდათ მეტი!.. ისევე, როგორც უდავოდ წარმატებული ნიმუშია თქვენს მიერ ქართულად ამეტყველებული ჯოზეფ კონრადის სამი მოთხრობის კრებული: „პრინცი რომანი“, „დუელი“ და განსაკუთრებით მაინც „წყვდიადის გული“, წიგნის საერთო სახელწოდებადაც რომ გამოგიტანიათ სათაური ამ შედევრისა, ბევრი რამ რომ განსაზღვრა მოდერნისტული ნაკადის დასაძრავად დასავლურ მხატვრულ აზროვნებაში და მისი შარავანდი დღესაც წვდება ბელეტრისტთა ძიებებს, თორემ მკითხველთა წრეებში ხომ განსაკუთრებითაა მოწონებული და მხატვრულ მიღწევებს შორის აქვს მიჩენილი ადგილი.







— თითქოს მალე გადმოვიღეთ ეს შედევრიც და „დუელიც“ ქართულად, „პრინცი რომანის“ ადრინდელი თარგმანიც რომ მივუმატეთ კრებულისათვის, მაგრამ ძალისხმევა კი დიდი დასჭირდა მასაც, რათა ჯოზეფ კონრადის უჩვეულო ექსპრესიაც შეგვენარჩუნებინა და, „დონ ჟუანისა“ არ იყოს, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა, თითქოს ინგლისელ მწერალს ქართულად დაეწეროს.

— სწორედ ეს განცდა მეუფლება, თქვენს ერთობლივ თარგმანებს რომ ვეცნობი ხოლმე, და ამჯერადაც დარწმუნებული ვარ, რომ... ლორდ ბაირონიც და ჯოზეფ კონრადიც ქართველი მწერლები არიან.

— ამასობაში მგონი, ამოვწურეთ კიდეც ჩემი შარშანდელი ლიტერატურული მოსავალი და... მართლაც 9 წიგნი აღმოჩნდა.

— თანაც როგორი მრავალფეროვანია ამ წიგნების შინაარსი. და წელს კი რას აპირებთ?

— ძალიან გთხოვთ, რეკორდის განმეორებასა და გაუმჯობესებაზე არ ჩამომიგდოთ სიტყვა.

— რაღას ჩამოგიგდებთ. ისე კი... რამდენიმე წიგნი უკვე დგას რიგში, არა?

— გვეჩქარება სადმე?

— „ნელა გვეჩქარება“, რატომაც არა, ძველი რომაელებისა არ იყოს, კარლო ფაჩულიას რომ უყვარს ამ შეგონების გამეორება.

— ნელა კი მართლაც უნდა გვეჩქარებოდეს, თორემ მოსასწრები იმდენია, როგორ გინდა აუხვიდე.

— მერმის ამ დროს ერთი ასეთი საუბარი კიდევ ხომ არ გაგვემართა? ჩავათვალიერებდით თქვენი ბიბლიოთეკის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალ შენამატებს.

— ხვალე იკითხავს ხვალისას, დღეისა კი დღევანდელს ვაკითხოთ...

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	108 058	53.09.34.109	39 600	11 880	3960	30
ლოტი №2	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	48 031	53.09.34.105	17 000	5100	1700	30
ლოტი №3	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	53 452	53.09.34.107	19 600	5880	1960	30
ლოტი №4	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	8965	53.04.44.071	2900	1160	290	30
ლოტი №5	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	4013	53.12.38.041	1500	600	150	30

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"–ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"–ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRPIII)**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: **P148048**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRPIII/CS/QCBS-04**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები:

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, წინასწარი პროექტირების, გარემოს და სოციალური ზემოქმედების შეფასების და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება პროექტირებისა და მშენებლობის კონტრაქტის ფარგლებში საერთაშორისო ბაკურციხე-წნორის გზის (16კმ) და გურჯაანი (ჩუმლაყი) - თელავის შემოვლითი გზის (30კმ) მონაკვეთების მშენებლობისთვის და სტრატეგიული მნიშვნელობის ჟინვალი-ბაკურციხე-წნორი შიდასახელმწიფოებრივი სატრასპორტო კორიდორის შეფასება

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **9 თვე**

შერჩევის მეთოდი: **ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა**

შეფასების ვალუტა: **ლარი**

ტექნიკური ქულის გადასალახი მინიმალური ზღვარი: 70 ქულა

შეფასებული კომპანია(ები):

დასახელება: Kocks Consult GmbH

ტექნიკური ქულა: **78.05**

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 545,000.00 აშშ დოლარი და 1,314,800.00 ლარი;

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 545,000.00 აშშ დოლარი და 1,314,800.00 ლარი;

ერთიანი შეფასების ქულა: **82.44**

საბოლოო ადგილი: I

დასახელება: ე.ს. DONGSUNG Engineering Co. & Soosung Engineering Co. Ltd. ქვე-კონსულტანტი შ.პ.ს. "IDM"

ტექნიკური ქულა: **79.92**

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,473,480.00 აშშ დოლარი და 1,842,790.00 ლარი;

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 1,473,480.00 აშშ დოლარი და 1,842,790.00 ლარი;

ერთიანი შეფასების ქულა: **73.68**

საბოლოო ადგილი: II

დასახელება: ე.ს. GETINSA-PAYMA S. L. & EUROESTUDIOS ქვე-კონსულტანტი შ.პ.ს. "პროექტმშენკომპანი"

ტექნიკური ქულა: **71.08**

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 3,260,235.00 ევრო და 3,415,683.25 ლარი;

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 3,260,235.00 ევრო და 3,415,683.25 ლარი;

ერთიანი შეფასების ქულა: **61.25**

საბოლოო ადგილი: III

დასახელება: ე.ს. AO Institute Stroyproekt (JSC) და შ.პ.ს. "საქგზამეცნიერება"

ტექნიკური ქულა: **67.85**

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის;

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: არ არის;

ერთიანი შეფასების ქულა: არ არის;

საბოლოო ადგილი: არ არის;

დასახელება: Voyants Solutions Private Limited

ტექნიკური ქულა: **53.47**

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის;

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: არ არის;

ერთიანი შეფასების ქულა: არ არის;

საბოლოო ადგილი: არ არის;

გამარჯვებული კომპანია(ები):

დასახელება: Kocks Consult GmbH

ტექნიკური ქულა: **78.05**

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 545,000.00 აშშ დოლარი და 1,314,800.00 ლარი;

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 545,000.00 აშშ დოლარი და 1,314,800.00 ლარი;

ერთიანი შეფასების ქულა: **82.44**

საბოლოო ადგილი: I

საკონტრაქტო ღირებულება: 643,100.00 აშშ დოლარი და 1,551,464.00 ლარი

დისკვალიფიცირებული კომპანია(ები):

დასახელება: არ არის;

ტექნიკური ქულა: არ არის;

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის;

დისკვალიფიკაციის მიზეზი: არ არის.

Contract Award Notification

Project Name: **Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**

Project Number: **P148048**

Bid/Contract Reference No: **SLRP III/CS/QCBS-04**

Scope of Contract:

PREPARATION OF FEASIBILITY STUDY, PRELIMINARY DESIGN, ENVIRONMENTAL AND SOCIAL IMPACT ASSESSMENT, AND BIDDING DOCUMENTS FOR DESIGN-AND-BUILD CONTRACT FOR CONSTRUCTION OF BAKURTSIKHE-TSNORI (16KM) AND GURJAANI (CHUMLAKI) – TELAVI BYPASS (30KM) ROAD SECTIONS AND EVALUATION OF STRATEGIC IMPORTANCE OF ZHINVALI-BAKURTSIKHE-TSNORI SECONDARY TRANSPORT CORRIDOR

Duration of Contract: **9 months**

Method of Selection: **Quality and Cost-Based Selection (QCBS)**

Evaluation Currency: **Georgian Lari**

The minimum technical score required to pass is: 70 POINTS

Evaluated Consultant(s)/Firm:

Name: Kocks Consult GmbH

Technical Score: **78.05**

Financial Proposal Price at the opening: 545,000.00 USD and 1,314,800.00 GEL;

Evaluated Price: 545,000.00 USD and 1,314,800.00 GEL;

Final Combined Evaluation Score: **82.44**

Final Ranking: I

Name: JV Dongsung Engineering Co and Soosung Engineering Corporation (IDM Ltd - sub-consultant)

Technical Score: **79.92**

Financial Proposal Price at the opening: 1,473,480.00 USD and 1,842,790.00 GEL

Evaluated Price: 1,473,480.00 USD and 1,842,790.00 GEL

Final Combined Evaluation Score: **73.68**

Final Ranking: II

Name: JV GETINSA-PAYMA S. L. and EUROESTUDIOS (sub-consultant - Proeqtmshenkompani Ltd

Technical Score: **71.08**

Financial Proposal Price at the opening: 3,260,235.00 EUR and 3,415,683.25 GEL;

Evaluated Price: 3,260,235.00 EUR and 3,415,683.25 GEL;

Final Combined Evaluation Score: **61.25**

Final Ranking: III

Name: JV AO Institute Stroyproekt (JSC) and Sakgzametsniereba Ltd

Technical Score: **67.85**

Financial Proposal Price at the opening: N/A

Evaluated Price: N/A

Final Combined Evaluation Score: N/A

Final Ranking: N/A

Name: Voyants Solutions Private Limited

Technical Score: **53.47**

Financial Proposal Price at the opening: N/A

Evaluated Price: N/A

Final Combined Evaluation Score: N/A

Final Ranking: N/A

Awarded Consultant(s)/Firm:

Name: Kocks Consult GmbH

Technical Score: **78.05**

Financial Proposal Price at the opening: 545,000.00 USD and 1,314,800.00 GEL;

Evaluated Price: 545,000.00 USD and 1,314,800.00 GEL;

Final Combined Evaluation Score: **82.44**

Final Ranking: I

Contract Price: 643,100.00 USD and 1,551,464.00 GEL;

Rejected Consultant(s)/Firm:

Name: N/A

Technical Score: N/A

Financial Proposal Price at the opening: N/A

Reason (s) for Rejection: N/A

მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას,რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 15 მარტიდან 2017 წლის 13 აპრილამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 13 აპრილს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350-23-21-90.

გამგებელი **ალექსანდრე შათირიშვილი**

განცხადება

2017 წლის 05 მაისს 2 საათზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქ. 106) გაიმართება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე „შპს „RMG Gold“-ის მიერ ბარიტის კუდების (ტექნოგენური საბადო) გროვული გამოტუტვის მეთოდით გადამუშავების პროექტი“-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია: შპს „RMG Gold“-ის მიერ ბარიტის კუდებიდან ოქროსა და ვერცხლის ამოკრეფა გროვული გამოტუტვის მეთოდით.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „RMG Gold“-ის ოფისში (მის: ქ. ბოლნისი, დაბა კაზრეთი, ტელ: 358 23 01 22);
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქ. 106).

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: **მიხეილ კვარაცხელია**, ტელ: 599 58 44 22
ადმინისტრაცია: **ალექსანდრე ცაპლინი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი

განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეყანა: საქართველო
პროექტის ნომერი: P130413

სტენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **EWHIP–4/CS/QCBS-05**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუტებისა და დეტალური პროექტის მომზადება რუსთავი - წითელი ხიდის და რუსთავი - სადახლოს გზების განახლებისთვის**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **17 თვე**

შერჩევის მეთოდი: **ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა**

შეფასების ვალუტა: **ლარი**

შეფასებული კომპანია(ები):

დასახელება: **JV AECOM Ltd and ILF Consulting Engineers Austria GmbH in sub-consultancy with Temelsu International Engineering Services Inc (Turkey) and Designing and Consulting Company BT (Georgia)**

ტექნიკური ქულა: 76,02

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 2,232,314.00 ევრო და 3,077,773.00 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 8,869,958.14 ლარი

ერთიანი შეფასების ქულა: 72.85

საბოლოო ადგილი: II

დასახელება: **Antea Nederland B.V. in sub-consultancy with Unihorn India PVT. Ltd. (India), Policy and Management Consulting Group (PMCG) (Georgia) and Sakgzametsniereba Ltd. (Georgia)**

ტექნიკური ქულა: 72.53

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: ,459,266.00 ევრო და 1,547,320.00 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 5,333,677.49 ლარი;

ერთიანი შეფასების ქულა: 78.02

საბოლოო ადგილი: I

დასახელება: **JV Setec als, Setec international and Setec tpi in sub-consultancy with Setec Georgia (Georgia)**

ტექნიკური ქულა: 60.41

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: არ არის

ერთიანი შეფასების ქულა: არ არის

საბოლოო ადგილი: არ არის

დასახელება: **JV GETINSA-PAYMA, S.L. and EUROESTUDIOS, S.L. in sub-consultancy with Proeqtmshenkompani (Georgia)**

ტექნიკური ქულა: 76.42

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 5,209,404.00 ევრო და 5,849,379.25 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 19,366,219.81 ლარი

ერთიანი შეფასების ქულა: 66.65

საბოლოო ადგილი: III

გამარჯვებული კომპანია(ები):

დასახელება: **Antea Nederland B.V. in sub-consultancy with Unihorn India PVT. Ltd. (India), Policy and Management Consulting Group (PMCG) (Georgia) and Sakgzametsniereba Ltd. (Georgia)**

ტექნიკური ქულა: 72.53

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: ,459,266.00 ევრო და 1,547,320.00 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 5,333,677.49 ლარი;

ერთიანი შეფასების ქულა: 78.02

საბოლოო ადგილი: I

საკონტრაქტო ღირებულება: 1,721,933.88 ევრო და 1,825,837.50 ლარი გადასახდების ჩათვლით

დისკვალიფიცირებული კომპანია(ები):

დასახელება: არ არის;

ტექნიკური ქულა: არ არის;

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის;

დისკვალიფიკაციის მიზეზი: არ არის.

Contract Award Notification

Project **Name: Fourth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**

Project Number: **P130413**

Bid/Contract Reference No: **EWHIP-4/CS/QCBS-05**

Scope of Contract: **Preparation of Feasibility Study and Detailed Design for the Upgrading of Rustavi-Red Bridge and Rustavi-Sadakhlo Roads**

Duration of Contract: **17 months**

Method of Selection: **Quality and Cost-Based Selection (QCBS)**

Evaluation Currency: **Georgian Lari**

Evaluated Consultant(s):

Name: **JV AECOM Ltd and ILF Consulting Engineers Austria GmbH in sub-consultancy with Temelsu International Engineering Services Inc (Turkey) and Designing and Consulting Company BT (Georgia)**

Technical Score: 76.02

Financial Proposal Price at the opening: EURO 2,232,314.00 and GEL 3,077,773.00

Evaluated Price: GEL 8,869,958.14

Final Combined Evaluation Score: **72.85**

Final Ranking: II

Name: **Antea Nederland B.V. in sub-consultancy with Unihorn India PVT. Ltd. (India), Policy and Management Consulting Group (PMCG) (Georgia) and Sakgzametsniereba Ltd. (Georgia)**

Technical Score: 72.53

Financial Proposal Price at the opening: EURO 1,459,266.00 and GEL 1,547,320.00

Evaluated Price: GEL 5,333,677.49

Final Combined Evaluation Score: **78.02**

Final Ranking: I

Name: **JV Setec als, Setec international and Setec tpi in sub-consultancy with Setec Georgia (Georgia)**

Technical Score: 60.41

Financial Proposal Price at the opening: N/A

Evaluated Price: N/A

Final Combined Evaluation Score: N/A

Final Ranking: N/A

Name: **JV GETINSA-PAYMA, S.L. and EUROESTUDIOS, S.L. in sub-consultancy with Proeqtmshenkompani (Georgia)**

Technical Score: 76.42

Financial Proposal Price at the opening: EURO 5,209,404.00 and GEL 5,849,379.25

Evaluated Price: GEL 19,366,219.81

Final Combined Evaluation Score: **66.65**

Final Ranking: III

Awarded Consultant(s):

Name: **Antea Nederland B.V. in sub-consultancy with Unihorn India PVT. Ltd. (India), Policy and Management Consulting Group (PMCG) (Georgia) and Sakgzametsniereba Ltd. (Georgia)**

Technical Score: 72.53

Financial Proposal Price at the opening: EURO 1,459,266.00 and GEL 1,547,320.00

Evaluated Price: GEL 5,333,677.49

Final Combined Evaluation Score: **78.02**

Final Ranking: I

Contract Price: **EURO 1,721,933.88 and GEL 1,825,837.60 including taxes**

Rejected Consultant(s):

Name: N/A

Technical Score: N/A

Financial Proposal Price at the opening: N/A

Reason (s) for Rejection: N/A

◎ უკვდავება

ოლიმპიელთა ხეივანს ომარ ფხაკაძის სახელობის ოლიმპიური რგოლი შეემატა

საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში კიდევ ერთი სახელოვანი ქართველი სპორტსმენის, ველომრბოლ ომარ ფხაკაძის სახელობის ოლიმპიური რგოლი გაიხსნა. ცერემონიას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი მოადგილე შალვა გოგოლაძესთან ერთად დაესწრო.

ოლიმპიური რეზერვების ცენტრში იმყოფებოდნენ პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილი, ფხაკაძის ვაჟი ომარ ფხაკაძე და მეუღლე დინარა ჯანუყაშვილი.

სტუმრებს ოლიმპიური რეზერვების ცენტრის დირექტორი გიორგი ასათიანი მასპინძლობდა. ღონისძიება 1992 წელს საქართველოში ველოსპორტის

ფედერაციის დაარსების დღეს მიეძღვნა და მის ფარგლებში საქართველოს ველომრბოლთა ნაკრები გუნდის წევრებმა და ველომოყვარულებმა საჩვენებელი ვარჯიშები და შეჯიბრებები გამართეს.

მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, 1965 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ორგზის მსოფლიოს რეკორდსმენი და სხვა მრავალი ჯილდოს მფლობელი ომარ ფხაკაძე ოლიმპიურ ცენტრში აღიზარდა.

შეგახსენებთ, რომ ეს უკვე მე-4 ოლიმპიური რგოლია, რომელიც ოლიმპიური ცენტრის ხელმძღვანელობის ინიციატივითა და ორგანიზებით ცენტრის ეზოში გაიხსნა მიხეილ სალაძის, მაია აზარაშვილისა და ვლადიმერ აფციაურის რგოლების შემდეგ.

ტარიელ ხეჩიკაშვილი: „ოლიმპიური მომზადების ცენტრში არაერთი სასიქადულო სპორტსმენი აღზრდილა. დღეს პატივი მივაგეთ ძალიან დიდ სპორტსმენს, მსოფლიოს ჩემპიონს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს ომარ ფხაკაძეს, გამორჩეულ პიროვნებას, რომელმაც ქართული სპორტის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა. მემორიალური დაფის გახსნა ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის, რადგან მათ უნდა დაინახონ, როგორ ვაფასებთ ჩვენს წარსულს და ამავდროულად ვზრუნავთ მომავალზე. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ქართული სპორტის დიდება შორს გავიტანოთ და გავახაროთ ქართველი გულშემატკივარი“.

გიორგი ასათიანი: „ტრადიცია გრძელდება. ამჯერად მსოფლიოს ჩემპიონის, ძალიან კარგი ადამიანის ომარ ფხაკაძის რგოლი გავხსენით. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა თაობამ იცოდეს, ვინ იყვნენ ჩვენი დიადი სპორტსმენები, რომლებიც ქართული სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაეწერნენ“.

დინარა ჯანუყაშვილი: „რთულია სიტყვებით გადმოვცე, რამდენად სასიხარულოა დღევანდელი დღე ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის. ყველა სპორტსმენს სჭირდება დაფასება, რათა მომავალ თაობას დავუტოვოთ ისტორია, მუდმივად გავახსენოთ, რომ ასეთი დიდი სპორტსმენები არსებობდნენ, მათ მაგალითზე კი ახალი, კიდევ უფრო შთამბეჭდავი კარიერის მქონე სპორტსმენები აღვზარდოთ“.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

ქუბრიაშვილი ორ კვირაში დაბრუნდება

ერთი კვირის წინათ ვწერდით, რომ საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ ბურჯის დავით ქუბრიაშვილის ტრავმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ექიმები თავდაპირველად ვარაუდობდნენ და დუდუ რაგბის აპრილის ბოლოსღა დაუბრუნდებოდა. საკლუბო მედიკოსებმა თავიდან თქვეს, 19 თებერვალს დაშავებულ ქუბრიაშვილს 4 კვირა გაუცდებაო, მაგრამ მოგვიანებით ფრანგულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მაგნიტურ-რეზონანსულმა კვლევამ თავდაპირველ დიაგნოზში კორექტივები შეიტანა და ქართველ ბურჯს, რომელსაც ამ დღეებში 31 წელი შეუსრულდა, გაცილებით დიდი ხანი მოუწევდა უქმობა — წვივის კუნთები აქვს გაწყვეტილი და თამაშს აპრილის მეორე ნახევარში თუ დაუბრუნდებაო.

თუმცა, რეალობა გაცილებით პოზიტიური აღმოჩნდა. როგორც დუდუს ოჯახის წევრებმა განაცხადეს, მან ვარჯიში რამდენიმე დღის წინათ განაახლა და ორ კვირაში თამაშსაც შეძლებს. ანუ გამოდის, რომ ქუბრიაშვილი თავის „მონპელიეს“ შაბათს, „რასინგთან“ მატჩში ნამდვილად ვერ დაეხმარება, თუმცა, შესაძლოა, მინდორზე 25 მარტს, მომდევნო ტურში, „ბრივთან“ გასვლით შეხვედრაში ვიხილოთ.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

„სან ანტონიო“ „გოლდენ სტეიტს“ დაეწია

გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რვა შეხვედრა გაიმართა.

„სან ანტონიომ“ საკუთარ დარბაზში „ატლანტა ჰოუქსი“ 107:99 დაამარცხა. ტეხასელთა ამ გამარჯვებით დასავლეთ კონფერენციაში „გოლდენ სტეიტის“ ერთპიროვნული ლიდერობა დასრულდა. „სან ანტონიო“ და „გოლდენ სტეიტი“ 52 მოგებით და 14 მარცხით პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებენ. აქამდე სეზონის განმავლობაში კონფერენციას სულ „მეომრები“ ლიდერობდნენ. რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, ტეხასელებმა პირველსავე პერიოდში მოპოვებული უპირატესობით იმარჯვეს. „სან ანტონიოს“ ტრავმის შემდეგ გუნდის ლიდერი კავაი ლეონარდი დაუბრუნდა, რომელმაც 31 ქულა, 5 მოხსნა და 4 პასი მოაგროვა. „ატლანტაში“ 22 ქულით და 10 პასით შრიოდერი გამოირჩა.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

ჟოზე მოურინიო:

მე ვარ იუდა?..

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო მიიჩნევს, რომ „ჩელსისთვის“ იუდა კი არა, არამედ ისტორიაში ნომერი პირველი მწვრთნელია. ამის შესახებ პორტუგალიელმა ინგლისის ასოციაციის თასის მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ განაცხადა, რომელიც ლონდონელებმა მოიგეს — 1:0.

„ჩელსის“ ფანები იუდას მეძახდნენ? — სანამ კონტე ან რომელიმე სხვა მწვრთნელი პრემიერლიგის ოთხ ტიტულს არ მოიგებს, მანამდე მე დავრჩები ნომერ პირველად“, — განაცხადა „მოუმ“.

შეგახსენებთ, რომ ჟოზე მოურინიო „ჩელსის“ 2004-2007 და 2013-2015 წლებში წვრთნიდა. „არისტოკრატებს“ „განსაკუთრებულმა“ ინგლისის ჩემპიონობა სამჯერ მოაპოვებინა: 2005, 2006 და 2015 წლებში, მიმდინარე სეზონის დაწყების წინ კი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩაიბარა.

აღსანიშნავია, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“ ადგილობრივი პუბლიკა მოურინიოს თბილად არ დახვედრია.

LE PARISIEN:

დენიზ აიტეკინი „პსჟ“-ს ფეხბურთელებს აგინებდა

ავტორიტეტული ფრანგული გაზეთი Le Parisien სკანდალურ ცნობას ავრცელებს. როგორც გამოცემა წერს, „ბარსელონასა“ და „პარი სენ ჟერმენის“ მატჩის დროს დენიზ აიტეკინი პარიზული კლუბის ფეხბურთელებს აგინებდა.

როგორც ზემოხსენებული წყარო წერს, გერმანელი მსაჯი „პსჟ“-ს ფეხბურთელებს ამა თუ იმ ეპიზოდის გაპროტესტებისას უხეშად ესაუბრებოდა. მეტიც, რამდენჯერმე აიტეკინმა უნაი ემერის შეგირდებს შემდეგნაირად უპასუხა: Fuck You!

„ბარსელონასა“ და „პსჟ“-ს შეხვედრა ოთხშაბათს გაიმართა, თუმცა, გამოხმაურება დღემდე გრძელდება. ამას ორი მიზეზი აქვს: კატალონიელთა საოცარი ქამბექი და დენიზ აიტეკინი.

მეკარის ტრაგედია

ცოტა ხნის წინათ უკრაინიდან ტრაგიკული ცნობა მოვიდა: გვიან ღამით, კიევის მახლობლად გზატკეცილზე, უცნობმა პირებმა დონეცკის „შახტიორის“, კიევის „დინამოსა“ და ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარის, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონის, ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების გამარჯვებული ვიქტორ ჩანოვის ავტომანქანა გააჩერეს და სასტიკად სცემეს იგი.

57 წლის ვიქტორ ჩანოვი, რომელსაც თავის ქალისა და ტვინის უმძიმესი ტრავმები ჰქონდა მიყენებული, საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკეთებას ექიმების ქირურგიულმა ჩარევამაც ვერ უშველა. სამი კვირის შემდეგ ვიქტორ ჩანოვი გარდაიცვალა.

ნინო ალექსანდრია

... დაზღვევის გარეშე დატოვებული ამერიკელები

2018 წლისთვის 14 მილიონი ამერიკელი სამედიცინო დაზღვევის გარეშე დარჩება. ეს იმ შეთხვევაში მოხდება, თუ რესპუბლიკური პარტიის მიერ შემუშავებული ჯანდაცვის ახალი კანონპროექტი ამუშავდება. კონგრესის საბიუჯეტო კომიტეტის ცნობით, 2026 წლისთვის დაზღვევის გარეშე დარჩენილთა რაოდენობა 52 მილიონს მიაღწევს. სამაგიეროდ, ჯანდაცვის სფეროში რეფორმის შედეგად 2026 წლისთვის შეერთებული შტატების ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი 337 მილიარდი დოლარით შემცირდება.

ბრიტანეთის პარლამენტმა ბრექსიტის დაწყებას მხარი დაუჭირა

ბრიტანეთმა ევროკავშირიდან გასვლისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც პრემიერ მეის ე.წ. ბრექსიტის პროცედურის დაწყების უფლებას აძლევს. ბრიტანეთის პარლამენტის ქვედა პალატამ ლორდთა პალატის მიერ შეტანილი შესწორებები გააუქმა, რომელიც ბრიტანეთში მცხოვრები ევროკავშირის მოქალაქეების უფლებების დაცვის გარანტიას ითხოვდა. თემთა პალატის გადაწყვეტილების შემდეგ კანონპროექტში შესწორების შეტანაზე უარი ლორდებმაც თქვეს და დოკუმენტის პირვანდელ ვერსიას დაუჭირეს მხარი.

ტრამპი ხელფასს ქველმოქმედებაში დახარჯავს

დონალდ ტრამპი ხელფასს მთლიანად ქველმოქმედებაში დახარჯავს. ამის შესახებ თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შონ სპაისერმა განაცხადა. აშშ პრეზიდენტის ხელფასი წელწადში 400 ათას დოლარს შეადგენს. ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რომელ სფეროს მოხმარდება ტრამპის ხელფასი.

ჰოსნი მუბარაქი თავისუფალია

ეგვიპტის სასამართლომ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი პატიმრობიდან გაათავისუფლა. პროკურატურამ მუბარაქის დაცვის მხარის მოთხოვნას დაუჭირა მხარი და დაკავების დღიდან პატიმრობაში გატარებული პერიოდი სასჯელის ვადაში ჩაუთვალა.

2011 წლის რევოლუციის შემდეგ ჰოსნი მუბარაქის წინააღმდეგ პროკურატურამ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე აღძრა, თუმცა ერთი კვირის წინათ კაიროს საკასაციო სასამართლომ ექსპრეზიდენტი გაამართლა და მას რევოლუციის დროს დემონსტრანტების მკვლელობის შესახებ ბრძანების გაცემის ბრალდება მოუხსნა. სამწლიანი პატიმრობა კი, რომელიც ჰოსნი მუბარაქს სახელმწიფო სახსრების მითვისების ბრალდებით ჰქონდა მისჯილი, მან უკვე მოიხადა.

ადვოკატის განცხადებით, 88 წლის მუბარაქი ამ დროისთვის სამხედრო ჰოსპიტალში იმყოფება და მკურნალობის დასრულების შემდეგ სახლში დაბრუნდება.

◎ ინტერნეტიდან

რიბერის „არაბული ზღაპარი“ შეიძლება, დასრულდეს

რა ხანია არაფერი გვითქვამს ვეტერანი ფრანგი მეგოლის — ფრანკ რიბერისა და მისი წარმოშობით არაბი მეუღლის — ვაჰიბა ბელჰამის შესახებ. კაცმა რომ თქვას, სათქმელი ბევრი არც არაფერი იყო. მას შემდეგ, რაც ვაჰიბამ იმდენი ქნა, რომ ქმარს რჯული შეაცვლევინა და ამის გამო სრულიად რიბერთა კლანი გადაიკიდა, ეს წყვილი ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდა.

თუმცა, როგორც არაბულ ზღაპრებშია, ყველაფერი ხშირად სულაც არ სრულდება „ჰეფი ენდით“ და, შესაძლოა, ამ ამბის დაბოლოებაც არ იყოს საამო და გულისამაჩქროლებელი. როგორც ევროპის ბულვარული მედია გვამცნობს, რიბერის ყელში ამოსვლია მეოჯახე მამისა და მოსიყვარულე ქმრის როლის თამაში და აგერ უკვე ერთი თვეა, ოჯახისგან განცალკევებით ცხოვრობს.

„ყვითელი“ მედიის მრავალი მცდელობის მიუხედავად, საკუთარივ ვეტერანი თავდამსხმელი ამ ამბავზე კრინტს არა ძრავს და არც ოჯახისგან განდგომას ადასტურებს, მაგრამ ჭორები ელზასური ქარივით დაჰქრიან და შეუძლებელია, ეს ყველაფერი მხოლოდ მავანთა მონაჩმახი იყოს.

როსტომ რაჭველიშვილი

აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა სტამბოლში

8-12 მარტს თურქეთის ქალაქ სტამბოლში კერამიკის აქსესუარების 28-ე საერთაშორისო გამოფენა „UNICERA 2017“ გაიმართა, რომელზეც **წარმოდგენილი იყო შემდეგი სახის პროდუქცია: კერამიკა და მისი დამუშავების ტექნოლოგიები, გრანიტი, მარმარილოს ბუნებრივი ქვა, მოზაიკა, მეთლახი, აბაზანის ავეჯი და აქსესუარები და ა.შ**

UNICERA 2017-ის ფარგლებში აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლებმა, უცხოელ ბიზნესმენებთან საქმიანი კონტაქტების დამყარების მიზნით, ორმხრივი შეხვედრები გამართეს.

ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლით დაკმაყოფილება

14 მარტიდან იუსტიციის სახლში **კიდევ ერთი უწყების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სერვისი დაინერგა.**

სსიპ „იუსტიციის სახლსა“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შორის, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც ეკომიგრანტების „საცხოვრებელი სახლით დაკმაყოფილების“ შესახებ განაცხადის მიღებას გულისხმობს, გუშინ მოეწერა ხელი.

იუსტიციის სახლის ახალი სერვისით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეებს ან/და ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი სტიქიური უბედურების გამო დაზიანდა, ექვემდებარება გადაადგილებას და სახიფათოა საცხოვრებლად.

იუსტიციის სახლში გაკეთებული განაცხადით, ბენეფიციარს შეუძლია, მოითხოვოს ალტერნატიული საცხოვრებელი სახლის შესყიდვა, რომელსაც 25 000 ლარის ფარგლებში უზრუნველყოფს სამინისტრო. მიღებული განაცხადი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გადაეგზავნება, სადაც საცხოვრებლით დაკმაყოფილების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მოხდება.

სერვისის იუსტიციის სახლში დანერგვის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ბენეფიციარებს განაცხადის გაკეთების შესაძლებლობა საქართველოს მასშტაბით იუსტიციის სახლის 19 ფილიალში შეეძლებათ. აქამდე ეს მომსახურება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მხოლოდ 3 ტერიტორიულ ერთეულში: თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში იყო შესაძლებელი.

ისნის რაიონში ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს

ისნის რაიონში საგზაო-სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ხორციელდება მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ვაზისუბნისა და მეტრომშენის დასახლებების დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობას ითვალისწინებს. გზის კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოები ხორციელდება, ასევე, გონაშვილის ქუჩაზე, სადაც მოიხსნა გზის ამორტიზებული საფარი და ასფალტი 2600 კვ.მ-ზე იგება.

ისნის რაიონში მიმდინარე სამუშაოებს თბილისის მერი დავით ნარმანია ისნის რაიონის გამგებელთან ვახტანგ ქიზიყურაშვილთან, პარლამენტისა და საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად გაეცნო.

ვაზისუბნისა და მეტრომშენის დასახლებების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზა 584-მეტრიან მონაკვეთში შენდება. პროექტის თანახმად, გზის რთული რელიეფის გამო, მოეწყო საყრდენი კედლები და სანიაღვრე ქსელი. ამ ეტაპზე მიწის მოჭრისა და გზის მოხრეშვის სამუშაოები დასრულებულია და მიმდინარეობს ბორდიურების მოწყობა.მათი მოწესრიგების შემდეგ, დაიგება გზის ორფენიანი საფარი და დამონტაჟდება გარე განათება.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს აღნიშნული დასახლებების დაკავშირებას კახეთის გზატკეცილთან და მნიშვნელოვნად განტვირთავს ვაზისუბნის დასახლებაში ავტოტრანსპორტის ნაკადს.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პარალელურად, კეთილმოწყობის სამუშაოები რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება.

მიმდინარეობს ათამდე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. ვაზისუბნის პირველი მიკრორაიონის №17 კორპუსის მიმდებარედ, დაწყებულია ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოები.

ამასთან, იალბუზის ქუჩაზე ხორციელდება საყრდენი კედლის რეაბილიტაცია. კედელი მწვავე ავარიულ მდგომარეობაში იყო, იშლებოდა და საავტომობილო გზაზე აფერხებდა ტრანსპორტის მოძრაობას. სამუშაოს ფარგლებში, მოეწყო რკინა-ბეტონის კონსტრუქციის კედელი და მოპირკეთდა ტუფის ქვით.

ერდოღანი მერკელს ტერორისტების მფარველობაში ადანაშაულებს

თურქეთის პრეზიდენტმა გერმანიის კანცლერი ტერორისტების მხარდაჭერაში დაადანაშაულა — „ქალბატონო მერკელ, რატომ მფარველობთ თქვენ ქვეყანაში ტერორისტებს? რატომ არაფერს არ აკეთებთ ამასთან დაკავშირებით“ — ერდოღანის ამ სიტყვებს „ფრანს პრესი“ ავრცელებს. თურქეთის ლიდერმა მერკელი ასევე დაადანაშაულა იმაში, რომ ბერლინმა ანკარა-ამსტერდამის დაპირიპირებაში ჰოლანდიის მხარე დაიჭირა.

თვის მხრივ, გერმანიის კანცლერმა თურქეთის პრეზიდენტის განცხადებებს აბსურდული უწოდა. „ფრანს პრესთან“ საუბარში მერკელის წარმომადგენელმა შტეფან ზაიბერტმა განაცხადა, რომ — ციტატა: „კანცლერი არ აპირებს ჩაერთოს პროვოკაციულ თამაშებში. ეს ბრალდებები, რაღა თქმა უნდა, აბსურდულია“.

ბერლინსა და ანკარას შორის ბოლო დროს ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც თურქეთის ხელისუფლებამ თურქული წარმოშობის გერმანელი ჟურნალისტი დენიზ იუჯილი სტამბოლში დააკავა. თურქეთის ხელისუფლება მას ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირში ადანაშაულებს. მერკელმა ანკარას მისი გათავისუფლება და მედიის თავისუფლების დაცვა მოსთხოვა.

ნიუ იორკში უამინდობის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა



უამინდობაა შეერთებულ შტატებში. ძლიერი თოვისა და ქარის გამო აღმოსავლეთ სანაპიროზე 5 ათასამდე ავიარეისი შეფერხდა. სინოპტიკოსების ვარაუდით, ჰაერის ტემპერატურა ნიუ იორკსა და ბოსტონში მინუს 5-6 გრადუსამდე დაეცა. უამინდობის გამო ერთი დღით გაეროს შტაბბინაც დაიხურა. ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას სახლებიდან გამოსვლისგან თავის შეკავებას ურჩევს. ნიუ იორკში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.

კატალონიის ყოფილ ლიდერს განაჩენი გამოუტანეს

კატალონიის ყოფილ ლიდერს არტურ მასას ორი წლით სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობა აუკრძალეს. ამის მიზეზი 2014 წელს მის მიერ ორგანიზებული რეფერენდუმი გახდა, რომელიც ესპანეთის შემადგენლობიდან გასვლის საკითხზე უნდა ჩატარებულიყო. პარლამენტმა რეფერენდუმის ჩატარებას მხარი დაუჭირა, თუმცა რეგიონალური საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ დაბლოკა. ამის შემდეგ კატალონიაში სიმბოლური კენჭისყრა მაინც ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა 2 მილიონამდე ადამიანმა მიიღო. მათმა 80-მა პროცენტმა მხარი კატალონიის დამოუკიდებლობას დაუჭირა. არტურ მასამ პოსტი გასული წლის იანვარში დატოვა. კატალონიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მასას ჯარიმის სახით 36 ათას 500 ევროს გადახდა მოუწევს.

ისლამისტებს დრონებით გაანადგურებენ

დონალდ ტრამპმა დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს ტერორისტთა უპილოტო თვითმფრინავებით განადგურების უფლება მისცა. ამის შესახებ გამოცემა „ვალ სტრიტ ჯორნალი“ იტყობინება. ობამას პრეზიდენტობის პერიოდში დრონების გამოყენების უფლება სპეცსამსახურებს მხოლოდ ტერორისტთა თვალთვალისთვის ჰქონდათ. მათზე ინფორმაციის მოპოვების შემდეგ კი ტერორისტთა გასანადგურებლად სამხედრო დრონები იგზავნებოდა. „ვალ სტრიტ ჯორნალის“ მტკიცებით, დაზვერვის სამსახურმა ახალი უფლებამოსილებით უკვე ისარგებლა და სირიაში ალ-ქაიდას ქსელი უპილოტო აპარატებით გაანადგურა.

ერთად სიმღერის მადლი

გუნდური სიმღერა აუმჯობესებს გუნებას, ზრდის იმუნიტეტსა და ხელს უწყობს ონკოლოგიურ სნეულებებთან ბრძოლას.

მეცნიერებმა, რომლებმაც კიბოთი დაავადებული გუნდის მომღერლების ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლეს, დაადგინეს, რომ ერთი საათის სიმღერის შემდეგ სისხლში სტრესების ჰორმონების დონე იკლებდა, ავადმყოფობისთვის ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარის მქონე იმუნური ცილების შემცველობა კი მატულობდა.

დღეგრძელობის საიდუმლო

შეფილდის (დიდი ბრიტანეთი) 102 წლის მცხოვრებმა დორა რიჰამმა დღეგრძელობის ძირითადი პრინციპები დაასახელა.

ამ პოსტულატებიდან მთავარია „ნურასდროს ნუ იღელვებთ“. „მამაკაცებს კი შემიძლია, ვურჩიო თავიანთ ქალბატონებს დღეში სამჯერ მაინც მოეხვიონ“, — აცხადებს ხანდაზმული ბრიტანელი ქალბატონი.

რაც შეეხება კვებას, მთელი ცხოვრების მანძილზე დორა რიჰამი ტრადიციულ ბრიტანულ კერძს ფიშ-ენდ-ჩიფსს (თევზსა და ჩიფსებს) მიირთმევდა, რომელსაც მამამისის რესტორანში ამზადებდნენ.

ხეების „ნანა-ნანაო“

ლაზერული სკანირების მეშვეობით ბოტანიკოსები დღე-ღამის მანძილზე ხეების მოქცევას დააკვირდნენ და საოცარი რამ აღმოაჩინეს.

თურმე ღამე ხეები იძინებენ — ისინი ტოტებს დაბლა ხრიან, მათი ტანი კი ჭრიალს იწყებს. ამ მოვლენას მეცნიერები მცენარეთა უჯრედებში ტურგორული წნევის დაწევით ხსნიან, რომელიც სიბნელეში წარმოიშვება.

სიმკაცრე და სიმსუქნე

სიმკაცრეში გაზრდილი ბავშვები, უფრო ლმობიერ გარემოში აღზრდილ თანატოლებთან შედარებით, მოწიფულ ასაკში ჭარბ წონას ხუთჯერ უფრო ხშირად კრეფენ.

ეს კანონზომიერება ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს. აღმოჩნდა, რომ როგორც კი ბავშვზე მშობელთა კონტროლი სუსტდება, აკრძალვების ატმოსფეროში გაზრდილი ბავშვები „დანაკარგის“ შევსებას ჩქარობენ, და, შედეგად, ცხიმიან და მაღალკალორიულ საკვებს ეძალებიან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

როცა დაავადება უკან ისევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი **ნანა მელია-პაიჭაძე** წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. **ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ქუსლის ტკივილს.**

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5052; ევრო - 2.2.6735
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0609;
100 რუბლი - 4.2372; თურქული ლირა - 0.6687;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4336;
1000 სომხური დრამი - 5.1600.

ამინდი 15 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3	დღე +15
მთიანი რაიონები -	ღამე 0,	დღე +13
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +4,	დღე +13
მთიანი რაიონები -	ღამე +2,	დღე +11
თბილისი:	ღამე +7,	დღე +13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge